ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამარ მაჩხანელი

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება

საერთაშორისო ბიზნესი

ხელმძღვანელი: ხათუნა ბერიშვილი,

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი ეძღვნება რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიულ კვლევასა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პრაქტიკულ ანალიზს. კერძოდ, საერთაშორისო მეურნეობაში ინტეგრაციას, რომელსაც, რა თქმა უნდა, შეუცვლელად მოჰყვება მსოფლიო ეკონომიკის მთლიანობის ზრდა, სსახელმწიფოებისა და ბაზრების გაერთიანება. ნაშრომში განხილული იქნება, ასევე, ისეთი მოვლენა, როგორიცაა წარმოების ინტერნაციონალიზაცია, გლობალიზაცია, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ნიმუშები საქართველოს მაგალითზე. კერძოდ: საქართველოს ინტეგრაცია ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, თავისუფალი ვაჭრობის მექანიზმების ამოქმედებით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, სუამ-ში საქართველოს ინტეგრაცია, ინტეგრაციული პროცესების თანამედროვე ფორმები და მეთოდები.

მსოფლიო სავაჭრო ბაზრების ინტეგრაცია მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან. ნაშრომში გაანალიზებულია აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოსთან მიმართებით, მოცემულია ნაციონალურ სავაჭრო პოლიტიკაზე წარმოდგენა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითად ნორმებსა და პრინციპებს.

ნაშრომში საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოჩინდება, როგორც ორი ეკონომიკური ტენდენციის ურთიერთქმედება. ესენია: გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია. ინტეგრაცია ვლინდება მეზობელი და არა მხოლოდ ასეთი, სახელმწიფოების სამეურნეო კომპლექსების გაერთიანებაში. აღნიშნული კი ეფუძნება ამგვარი სახელმწიფოების კომპანიათა მყარ ეკონომიკურ კავშირებს. მაგალითების სახით, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ევროპის კავშირის პოლიტიკის ძირითადი თავისებურებები, რომლებითაც ხელმძღვანელობს ევროპის უმსხვილესი პოლიტიკური გაერთიანება პარტნიორებთან და პოტენციურ მოკავშირეებთან ურთიერთობისას,ჩინეთთან, როგორც ეკონომიკის დარგში უმსხვილეს მსოფლიო ლიდერთან ურთიერთობის სპეციფიკა და უახლესი პერსპექტივები აგრეთვე,

განხილულია ძირითადი ინტეგრაციული პროცესები მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ნაშრომში გამოყოფილია მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი პრობლემები და პერსპექტივები და ის სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელიც მეტყველებს იმ პროგრესსა და სიახლეებზე, რომლებიც მოჰყვა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას, როგორც დიდ ევროპულ ოჯახში, ისე აზიის წამყვან სახელმწიფოებთან.

Annotation

Regional economic integration and development of foreign economic relations of Georgia

Tamar Machkhaneli

Givenwork Is dedicated Regional Economic Integration Theoretical Research And Regional Economic Integration Practical Analysis. In particular, integration into the international community, which, of course, will not change the integrity of the world economy, unification of the states and markets. The work will also be considered as an event such as internationalization of production, globalization, samples of international economic integration on the example of Georgia.In particular, the integration of the European Association agreements, free trade mechanisms, free economic zones, free trade agreement with China,Georgiato GUAMIntegrationA,modern forms and methods ofintegration processes.

Integration of the World Trade Markets is closely related to the activities of international organizations.The paper analyzedtheactivity of these organizations with regard to the national policy on trade performance, which, in turn, should be based on international norms and principles of activity of the organizations.

International economic integration will be presented in the work as interaction of two economic trends.These are: globalization and regionalization.Integration is revealed by neighbors and not just in the unification of the economic complexes of states.This is based on solid economic ties between companies of such states.As an example, the master's thesis includes thebasic peculiarities of theEuropean Unionpolicy, which leads to the largest political union of Europe in partnership with partners and potential allies,Thespecifics of relationswith China as theworld's largesteconomyleader and the latest prospects arealso discussed in key global integration processes.The paper emphasizes the major problems and perspectives of

global economic integrationand statistical indicators that demonstrate the progress and innovations that have resulted in the international economic integration of our country as a major European family and with the leading Asian countries.

სარჩევი

ანოტაცია.....2

სარჩევი.....6

შესავალი.....8

1. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის როლი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში.....13

1.1 რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მიზეზები და მიზნები.....14

1.2 რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ეტაპები.....16

2. საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე გამოწვევები

2.1.საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობა.....20

2.2 საქართველოს მიერ ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.....30

2.3 საქართველოს ინტეგრაცია სუამ-ში.....35

3. რეგიონული ინტეგრაციის თანამედროვე პრობლემები და პერსპექტივები

3.1 ძირითადი სირთულეები ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში.....45

3.2 ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი ათვისების თავისებურებანი.....52

დასკვნა.....73

გამოყენებული ლიტერატურა.....75

Content

1. The role of regional economic integration in the development of foreign economic relations

1.1 Causes and goals of regional economic integration

1.2 Regional economic integration development stages

2. Modern Contemporary Challenges of Economic Integration of Georgia

2.1 Importance of Association Agreement with the European Union

2.2 Georgia Free Trade Agreement with China

2.3 Georgia's integration into GUAM

3. Modern problems and perspectives of regional integration

3.1 Key challenges in the process of EU integration

3.2 Export potential of Georgia and peculiarities of its application in the process of European integration.

Conclusion

შესავალი

XX საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია იქცა ძლიერ ინსტრუმენტად რეგიონული ეკონომიკის განვითარებისა და წევრი ქვეყნების ინტეგრაციული დაჯგუფებების მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზაზე. სიტყვა "ინტეგრაცია" მომდინარეობს ლათინური integratio-დან - შევსება ან integer -დან - მთლიანი. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია არის მეზობელი ქვეყნების ეკონომიკების გაერთიანება საერთო სამეურნეო კომპლექსში მათ კომპანიებს შორის მყარი ეკონომიკური კავშირების საფუძველზე. გავრცელებული რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია, შესაძლოა, მომავალში იქნება საწყისი სტადია გლობალური ინტეგრაციისთვის ანუ რეგიონული საინტეგრაციო გაერთიანებების შერწყმისთვის.

დღევანდელი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელია ახალი რაოდენობრივი და ხარისხიანი მახასიათებლები. საერთაშორისო ვაჭრობამ, კაპიტალის მოძრაობამ, მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციამ, ტრანსნაციონალურმა საქმიანობამ, საერთაშორისო ორგანიზაციების აქციებმა და, საბოლოოდ, მსოფლიოში ინტეგრაციულმა პროცესებმა მიაღწია არნახულ მასშტაბებს.

მსოფლიო ეკონომიკური სივრცის დაყოფა მსხვილ რეგიონულ ქვესისტემებად, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალფეროვან ფორმებს, არის თანამედროვე მსოფლიოს სამეურნეო განვითარების მნიშვნელოვანი ნიშანი. ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია იქცევა მსოფლიო ბაზრის დომინანტად და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი სუბიექტების როლი მიეკუთვნება რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებს. ახლანდელ დროში პრაქტიკულად ყველა ქვეყანა საბაზრო ეკონომიკით არის ამა თუ იმ რეგიონული ჯგუფის წევრი, რომლებიც აერთიანებენ სახელმწიფოებს სხვადასხვა ეკონომიკური შეთანხმებით, რომელთა რაოდენობა 100-ს აღემატება.

აქტუალობა: ინტეგრაციული გაერთიანებების ფორმირების პროცესი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთი ობიექტური ტენდენციაა. აღნიშნული დასტურდება მსოფლიო პრაქტიკაში მათი ფართო გავრცელებით. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები აყენებს მაღალ მოთხოვნებს ნაციონალური მეურნეობების მიმართ. მათი რეზერვების ზრდის არსებითი ნაწილი მოდის ინტეგრაციის სფეროზე. ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს მიზანსა და შედეგს წარმოადგენს ნაციონალური პოტენციალის ეფექტური გამოყენება. აღნიშნული ეფუძნება ძალისხმევისა და რესურსების ურთიერთსასარგებლო გაერთიანებას, რომლებიც მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდის პრობლემების მოგვარებისკენ. თუმცა, მსოფლიო გამოცდილებით, ინტეგრაციის უპირატესობა სრულად ვლინდება მოცემული პროცესის ყოველმხრივი დამუშავებისას, მისი რეალიზაციის სტრატეგიებისა და ტაქტიკის შემუშავებისას. ნაციონალური სახელმწიფოები თანდათან კარგავენ საკუთარი ძალებით რთულ ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, პოლიტიკურ და სხვა პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობას. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ რეგიონალური თანამეგობრობები შედარებით ადვილად ხვდებიან XXI საუკუნის ახალ გამოწვევებს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების ანალიზი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებათა სისტემაში და მათ შორის, საქართველოში.

მოცემული ნაშრომის მიზნის რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. ინტეგრაციის არსის განსაზღვრა
2. ინტეგრაციის პროცესების განვითარების ეტაპები
3. ინტეგრაციის მნიშვნელობა მსოფლიოს განვითარების გლობალურ ფაქტორებში
4. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

5. სხვადასხვა ინტეგრაციული გაერთიანებების დახასიათება
6. ინტეგრაციული ტენდენციების ზემოქმედების ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობებზე

ნაშრომის საგანია რეგიონული ინტეგრაციული პროცესები ევროკავშირისა და აზიის რეგიონში.

სამაგისტრო ნაშრომის მეთოდები. აღნიშნულ სფეროში არსებითია კომპლექსური მიდგომა, რაც გვეხმარება პრობლემის მთლიანად დანახვაში. კომპლექსური მიდგომა გულისხმობს უპირატესობების, სირთულეებისა და ინტეგრაციული პროცესების დინამიკის ანალიზს.

Introduction

At the end of the 20th century, international economic integration became a powerful instrument for the development of regional economy and the integration of member-states into the world market on the way to increase competitiveness. The word "integration" comes from the Latin integratio - filling or integer - the whole. International economic integration is the unification of the economies of the neighboring countries on the basis of solid economic links between their companies in the general agricultural complex. The widespread regional economic integration may be the starting point for global integration, or the combination of regional integration unions.

Today's international economic relations are characterized by new quantitative and qualitative characteristics. International trade, capital movements, migration of population and labor resources, transnational activities, international organizations' actions and eventually the integration processes of the world have achieved unprecedented scales.

The division of the world economic space as a large regional subsystem that represents the diverse forms of political and economic cooperation of the states is an important sign of economic development of the modern world. Most experts believe that economic integration becomes the dominant world market and the role of the main subjects of international economic relations are the regional integration groups.

In virtually all of the countries of the present time, the market economy is a member of a regional group that unites states with different economic agreements, the number of which exceeds 100.

Importance of the integration process of the formation of unions in the modern world economy and international economic relations is one of the objective trend. This is confirmed by the practice of their widespread. high pace of development of the world economy puts high demands of the national economy. Their reserves are an essential part of the growth comes from the integration field. Integration of the most important purpose and outcome of the national potential for efficient use. This is based on the efforts and resources in a mutually beneficial association, which will be directed towards economic growth to solve the problems.

However, experience in the world, integration advantages of fully manifested in the process of a comprehensive process, its implementation in developing strategies and tactics. Nation-states are gradually losing their strength in a difficult economic, social, ecological, scientific-technical, political and other problems to deal with. Practice has shown that the regional networks of countries is relatively easy to meet the XXI century, new challenges.

Master's work is to analyze the integration processes in the current international economic and political system and including, in Georgia.

The work is important for the realization of the following tasks:

1. The essence of the phenomenon of integration processes in the development of integration
2. Integration processes in the development of hearing
3. Discussion of the integration process faces
4. Determining factors in the development of the global integration of the role of international organizations
5. The display of contemporary international relations and the integration of different
6. unions matter to give a characterization of the integration trends
7. Impact Analysis of International Relations of the system evolution.

The subject of the regional integration processes in the EU and Asia region. Master's work methods. The field is essential for a comprehensive approach, which helps us see the whole problem. complex approach involves taking advantage of the difficulties of integration processes and dynamics analysis.

1. რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის როლი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში

რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია უმარტივესი სახით არის ორ ან მეტ ეკონომიკას შორის ეკონომიკური საზღვრების გაქარწყლება. ეკონომიკური საზღვარია ნებისმიერი წინაღობა საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების, აგრეთვე, ინფორმაციული ტალღის თავისუფალი გადაადგილების გზაზე. ეკონომიკური ინტეგრაციის სამუშაო განსაზღვრება შემდეგ პარამეტრებზეა დამოკიდებული:

- ჰომოგენური ეკონომიკური სივრცის შექმნა
- წარმოების ფაქტორების თავისუფალი ცირკულაცია რეალურად ფუნქციონირებადი საერთო ბაზრის პირობებში
- რესურსების თანაბარი გამოყენება მაქსიმალურად ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობით
- საერთო ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური პოლიტიკის გატარება
- ნაციონალური კანონმდებლობის უნიფიკაცია.

[1]საერთო ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური პოლიტიკის გატარებისა და ნაციონალური კანონმდებლობის უნიფიკაციის შემთხვევაში , ჩვენ საქმე გვაქვს ”პოზიტიურ ინტეგრაციასთან” (დე-იურე), პირველ ორში - “ნეგატიურთან” (დე-ფაქტო). ეს განსხვავება პირველად აღნიშნა იან ტიმბერგენმა. ნეგატიური ინტეგრაცია გულისხმობს რეალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას ვაჭრობისა და ინვესტიციების მეშვეობით, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დისკრიმინაციის აღკვეთას. პოზიტიური ინტეგრაცია დაკავშირებულია ნაციონალურ ინსტიტუტებზე გადასვლასთან, ერთობლივად გადაწყვეტილებების მიღებასთან. სხვა სიტყვებით, რეგიონალური ინტეგრაცია შეიძლება იყოს ბაზრების ინტეგრაცია (market-

[1] Семенов К.А. Международная экономическая интеграция. М., Юристъ-Гардарика, 2001

led), როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების ასოციაციის შემთხვევაში ან განვითარდეს ინსტიტუციონალური შეთანხმებების (institutional-driven) გავლენით - ევროკავშირის შემთხვევაში ან მესამე შემთხვევაში - იყოს ამ ორი მოდელის სინთეზი.

1.1 რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის მიზეზები და მიზნები

[2]რატომ ხორციელდება რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია და რა არის მისი მთავარი მიზნები? განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება ეკონომიკური დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ნაციონალური მეურნეობა ხდება უფრო ღია, ხელმისაწვდომი გარე სამყაროსთვის. ნელ-ნელა ყალიბდება რეგიონალური სამეურნეო კომპლექსები რომლებიც მოიცავს ქვეყნებს ერთნაირი განვითარების დონით ან ერთმანეთთან ახლო მდებარეობით. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებს გააჩნდეთ მსგავსი ეკონომიკური განვითარების დონე , ამ შემთხვევაში ინტეგრაციის პროცესში ისინი თანაბარი უფლებით მიიღებენ მონაწილეობას. სხვა აზრით , გადამწყვეტი ფაქტორი ეკონომიკური ინტეგრაციის შექმნისა არის სურვილი შესაბამისი ქვეყნებისა გააძლიერონ თავდაცვა და უზრუნველყონ მტრებისგან დაცვა. ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ , რომ ეკონომიკური ინტეგრაციის მიზეზი მდგომარეობს მიაღწიონ ერთიან მიზანს , მაგალითად სოციალურ სტაბილურობას, წარმოების გაზრდას და ა.შ.

[3]არის შეხედულებაც, რომ ქვეყნები ისწრაფვიან ეკონომიკური ინტეგრაციისკენ, რომ გამოასწორონ შეზღუდული რესურსების პრობლემა, აღნიშნულმა ფაქტორმა ხელი შეუწყო ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას , წარმოების გაფართოებას და საქონლის დიფერენცირებას. რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია საშუალებას

[2] Харламова В.Н. Международная экономическая интеграция. Учебное пособие. М., Анкил, 2002

[3] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

იძლევა ახალი საშუალებების ინვესტირებისა და საერთო პროექტების დამუშავებისათვის.

[4]რეგიონალური ინტეგრაცია, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება გლობალიზაციის გამოწვევებს, აფერხებს გლობალური ლიდერების გავლენებს, რომლებიც კარნახობენ "თამაშის წესებს". საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ეს არის ობიექტური და თანმიმდევრული პროცესი სამეურნეო სისტემების დაახლოების და ურთიერთდაკავშირების შესაბამისი პოტენციალის გათვალისწინებით. ეკონომიკური ინტეგრაციის სათავეში დევს დამოუკიდებელი მეურნეების სურვილი დაიკმაყოფილონ თავისი ინტერესები და გაიყონ საერთაშორისო შრომა., ასევე ეკონომიკური გაძლიერება ინტეგრირებულ ქვეყნებში , გეოგრაფიული განლაგება , პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ერთობლივი გადაწყვეტილებები რიგ საკითხებში და ინტეგრაციის თავისებური ცენტრის ჩამოყალიბება რომელიც აიღებს ინიციატვიას დაახლოვოს ქვეყანა-პარტნიორები. ინტეგრირებულ გაერთიანებებს აქვთ მეტი შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი ჯგუფური, მათ შორის, ნაციონალური ინტერესები საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში და შეეწინააღმდეგონ განვითარებული სახელმწიფოების, აშშ-ის, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ფინანსური ჯგუფების ზეწოლას.

მეორე მხრივ, შეუძლიათ რეგიონალური უპირატესობების შექმნა გლობალურ კონკურენტულ გარემოში საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრებზე.

მესამე - რეგიონალური ინტეგრაცია ხელს უწყობს შრომის, სპეციალიზაციების, მომსახურების, საქონლის მწარმოებელი კორპორაციების საერთაშორისო დანაწილებას, ეხმარება ნაციონალური ეკონომიკების დინამიკურ განვითარებას, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას გლობალურ სივრცეში.

ბოლოს, თავისუფალი ვაჭრობის ზონების, საბაჟო კავშირებისა და სხვა ინტეგრირებული გაერთიანებების ფორმირება. უკანასკნელი გულისხმობს ერთიანი საბაზრო და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნას.

[4] Мировая экономика. Учебник / М., Изд-во БЕК, 2000.

რეგიონალიზაციას მოაქვს თავისი ნაყოფი, რისი მტკიცებულებაცაა ისეთი რეგიონალური გაერთიანებების გამოცდილება, როგორიცაა: ევროკავშირი, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ასოციაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია, სამხრეთ ამერიკული საერთო ბაზარი და სხვა.

ინტეგრაციის პროცესი მსოფლიოში სწრაფად ვითარდება. დღეს მსოფლიოში მოქმედებს 179 საერთაშორისო შეთანხმება, რომლებიც საბაჟო კავშირს ან თავისუფალი ვაჭრობის ზონას ცნობს ინტეგრაციის ფორმებად.

ინტეგრაცია ყოველთვის გულისხმობს განსაზღვრულ მიზნებს, რომლებიც განმსაზღვრელი უნდა იყოს ქვეყნების გაერთიანების პროცესში.

რეგიონალური ინტეგრაცია განიხილება, როგორც სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევის ინსტრუმენტი. მეორე მხრივ, რეგიონალიზმი ფასდება, როგორც გლობალიზაციის პროცესებზე ეფექტური პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი.

ნათელია, მონაწილე სახელმწიფოთა გეოგრაფიული მეზობლობა ასტიმულირებს ინვესტიციებისა და ვაჭრობის ზრდას.

1.2 რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ეტაპები

[5]ეკონომიკური ინტეგრაცია- ეს არის პროცესი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთქმედებისა წარმოების სოციალიზაციისათვიის. ეკონომიკური ინტეგრაცია მოწოდებულია გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები :

- გამოიყენოს წარმოების მასშტაბის ეფექტი რაც საშუალებას მისცემს გაზარდოს ბაზრის წილი და მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
- მოაგვაროს ვაჭრობის პოლიტიკის საკითხები
- შექმნას სასიამოვნო შიდაპოლიტიკური გარემო ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გზით.

[5] J.S. Nye (ed.), International Regionalism: Readings, (Boston: Little, Brown, 1968).

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია:

1) სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა
2) ინტეგრაციული პროცესების განვითარება მაკრო- და მიკრო დონეებზე
3) ცივილიზებული სახელმწიფოების ინტენსიური გადასვლა ჩაკეტილი ნაციონალური მეურნეობებიდან ღია ტიპის ეკონომიკამდე.

[6]რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ამოსავალია დაახლოების ობიექტური, გათვითცნობიერებული და მიმართულებითი პროცესი, რომელსაც აქვს თვითრეგულირებისა და თვითგანვითარების პოტენციალი.

რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების საფუძველში დევს ცალკე აღებული ქვეყანა-სუბიექტების ინტერესები. განვითარების სათავეა პირდაპირი საერთაშორისო-ეკონომიკური (საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური) კავშირები ეკონომიკური ცხოვრების პირველადი სუბიექტების დონეზე., რომლებიც სიღრმისეულ;ად განვითარებისას უზრუნველყოფენ ეროვნული მეურნეობების დაახლოებას საბაზისო დონეზე.

ზემოაღნიშნულს გარდუვალად მოსდევს ინტეგრაციის შემდეგი ეტაპი - სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ეკონომიკურ, სამართლებრივ, ფისკალურ, სოციალურ და სხვა სისტემათა დონეზე. მათ შორის, მმართველობითი სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა.

პირობითად, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ეტაპები ამგვარად დიფერენცირდება:

1. მონოპოლიზაცია (განვითარების პირველი ეტაპი)
2. ინტეგრაცია (ინტერნაციონალიზაციის განვითარების მეორე ეტაპი)
3. ტრანსნაციონალიზაცია (განვითარების მესამე ეტაპი).

[6] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

[7]ეკონომიკური ინტეგრაციამ შედარებით დაჩქარებულად განვითარება დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევარში და გაიარა რიგი ეტაპებისა. ზოგადად, ეკონომიკური ინტეგრაცია შედგება 5 ეტაპისგან:

1. პრეფერენციალური სავაჭრო შეთანხმება
2. თავისუფალი ვაჭრობის ზონა
3. საბაჟო კავშირი
4. საერთო ბაზარი
5. ეკონომიკური კავშირი

პრეფერენციალური სავაჭრო შეთანხმება გულისხმობს:

1) ურთიერთვაჭრობაში ტარიფების შემცირებას;
2) ტარიფების შენარჩუნებას მესამე ქვეყნებთან მიმართებით;
3) მართვის ორგანოების შეუქმნელობას.

მეორე ეტაპი - თავისუფალი ვაჭრობის ზონა:

1) ურთიერთვაჭრობაში ტარიფებისა და არატარიფული ბარიერების გაუქმება;
2) სახელმწიფოთა შორის საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება;
3) მცირე ზომის სახელმწიფოთაშორისი სამდივნო.

მესამე ეტაპი - საბაჟო კავშირი:

1) ურთიერთვაჭრობაში ნაციონალური საბაჟო ტარიფების გაუქმება;
2) მესამე სახელმწიფოებისთვის ერთიანი სატარიფო და არასატარიფო რეგულირება;
3) სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრები, მინისტრთა სამდივნოს შექმნა.

---

[7] Н.Х. Кумскова. Экономическая теория. Учебное пособие для экономических специальностей /Отв. ред. акад. МАН ВШ и МЭАЭ, проф. Н.Х. Кумскова; Кыргызско-Российский Славянский университет. – Бишкек, 1999г. – 716 с.. 1999

მეოთხე ეტაპი - ერთიანი ბაზარი:

1) წარმოების ფაქტორების თავისუფალი მოძრაობა;
2) სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრები, მინისტრთა სამდივნოს შექმნა.

მეხუთე ეტაპი - ეკონომიკური კავშირი:

1) სავალუტო, საბიუჯეტო, ფულად-საფინანსო სფეროებში სამართლებრივი ბაზის უნიფიკაცია;
2) ეკონომიკური სისტემების ჰარმონიზაცია;
3) სახელმწიფოთაშორისი ორგანოების ფუნქციონირება ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად.



ცხრილი 1.2

2. საქართველოს ინტეგრაცია თანამედროვე ეტაპზე

2.1. საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება

[8]საქართველოს თანამედროვე ინტეგრაციას, იგი სათავეს იღებს, ჯერ კიდევ, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან.

1992 წლიდან მოყოლებული სულ უფრო მეტი შეთანხმებისს და პარტნიორობის ხელშეკრულება ფორმდება და ძლიერდება რეგიონალური ინტეგრაცია. 1992 წელს, ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1995 წლიდან, საქართველო, ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს. 1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა.

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

[8] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის წახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები.
2006 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმების პროცესი, რომელიც ურთიერთანამშრომლობის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ადგენს. 2008 წელს, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიაციატივით მოწვეულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების შესახებ. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.
2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ძირითად ამოცანას ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. მისიამ საკუთარი მანდატის განხორციელება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.
2008 წლის 25 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.
2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, მოლაპარაკების პირველი რაუნდი (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური სტატუსის მქონე ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილნი) გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და ჟენევის მოლაპარაკებების სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორი პარალელური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

პირველი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფის ძირითად განსახილველ თემას დევნილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს. მოლაპარაკებებს თანათავმჯდომარეობენ ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები და ესწრებიან მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოლაპარაკებებში, ასევე, მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ისევე როგორც სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები).

2008 წლის 22 ოქტომბერს (ომის შედეგებთან გასამკლავებლად საქართველოს დახმარების მიზნით), ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის, 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2008 წელს, ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის მოქმედება სამი წლის ვადით (2009-2011) გაუხანგრძლივა (ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (GSP+)). 2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე "აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთთანამშრომლობის თვისობრივად ახალ მექანიზმს წარმოადგენს.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" პირველი სამიტი გაიმართა. 2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა "პარტნიორობა მობილურობისათვის"

ერთობლივ დეკლარაციას (დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა").

„პარტნიორობა მობილურობისათვის" მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან

ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის მოწესრიგებას (მათ შორის "ცირკულარული მიგრაციის" შესაძლებლობების გამოყენებით.

აღსანიშნავია 2010 წელს რამდენიმე დადებული ხელშეკრულება , მათ შორისაა:

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა, ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 17 ივნისს, ხელი მოეწერა ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბერს, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმებები 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები (რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას " (DCFTA)).

2010 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის'' შესახებ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს, ქ. ბრიუსელში გამართულ საგანგებო სხდომაზე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში, ოფიციალურად დაფუძნდა თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა „ევრონესტი".

2011 წლის 14 ივლისს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

2011 წლის 25 აგვისტოს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანდა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების

თანამდებობები და მათ ნაცვლად, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.
2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების"(DCFTA) დადების თაობაზე.
2012 წლის 4 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგი გაიხსნა.
2013 წლის 22 ნოემბერს, ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს
[9]საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები (შედეგად, ქართველ მეზღვაურებს, ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დასაქმების უფლება მიეცათ).
2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და ასევე, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.
2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2014-2016 წლებში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ასოცირების დღის წესრიგმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ჩაანაცვლა.
2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმებას.
2014 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

[9] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (29-ე) სხდომაზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.
2014 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა" დაამტკიცა.
2014 წლის 1 სექტემბერიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დადგენილი ვალდებულებების დაახლოებით 80% (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით) ამოქმედდა დროებით რეჟიმში. ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში შევა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ რატიფიცირების შემდეგ.
2014 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (51-ე) სხდომამ მოიწონა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა". სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა.
2015 წლის 22 მაისს, ქ.რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მეოთხე სამიტი გაიმართა.
სამიტზე განიხილეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების დღის წესრიგი განხორციელების მიმართულებით და ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.
2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის

ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზა ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას. შეთანხმება საფუძველზე ასევე იქმნება ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე. ხელშეკრულება საქართველოს სთავაზობს ჩარჩოს ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად საბაჟო ტარიფებისა და კვოტების გაუქმებით და ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და რეგულაციების ყოვლისმომცველი დაახლოებით ევროკავშირის სტანდარტებთან. ეს ხელს შეუწობს საქართველოს თანდათანობით ინტეგრაციას ევროკავშირის ერთიან ბაზარზე.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის თქმით: ,,ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ამოქმედება გააღრმავებს და გააფართოვებს ჩვენს შორის ურთიერთობებს ყველა ჩვენთაგანის საკეთილდღეოდ. ევროკავშირი მოელის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება თანამშრომლობა ქვეყანასთან, რომელიც უმნიშვნელოვანეს რეფორმებს ახორციელებს ისეთ სფეროებში, როგორიც არის კანონის უზენაესობის განმტკიცება, ანგარიშვალდებულების წესები სახელმწიფო დონის გადაწყვეტილებათა მიმღები პირებისათვის და გამჭვირვალობის გაზრდა.“

ევროკავშირის კომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებზე იოჰანეს ჰანმა განაცხადა: ,,მომავალ წლებში საქართველოს მოქალაქეები უფრო მეტ სარგებელს ნახავენ ევროკავშირთან მჭიდრო ასოცირების წყალობით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გაუმჯობესებული შესაძლებლობების, ქვეყანაში მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უვნებლობის გაზრდისა თუ გაზრდილი ენერგოეფექტურობის შედეგად. ეს

მხოლოდ ნაწილია იმ წარმატებული შედეგებისა, რომლებიც შეთანხმების წინასწარი ამოქმედების დროს გამოიკვეთა. მუშაობა და წინსვლა უნდა გაგრძელდეს. მინდა მოვუწოდო საქართველოს, სრულად ისარგებლოს წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ლარის (100 მილიონი ევრო) დახმარებით, რომელსაც ევროკავშირი აძლევს მას ქვეყანში რეფორმების გატარების ხელშესაწყობად.“ ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ნიშნავს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, კარგი მმართველობის, საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების ვალდებულების აღებას. შეთანხმების საფუძველზე საქართველომ იკისრა ვალდებულება, განახორციელოს ამბიციური რეფორმები ძირითად სფეროებში, როგორებიც არის უსაფრთხოების პოლიტიკა, ვაჭრობა, ეკონომიკის გაჯანსაღება და ზრდა და მმართველობა. ასევე გათვალისწინებულია თანამშრომლობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, მრეწველობის, სოციალური განვითარებისა და დაცვის, თანასწორი უფლებების, მომხმარებელთა დაცვის შესახებ განათლების და ახალგაზრდობისა და კულტურული კავშირების სფეროებში.

2014 წლის 1 სექტემბრიდან წინასწარ ამოქმედდა შეთანხმების რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ხნის განმავლობაში უკვე გამოჩნდა მნიშვნელოვანი კონკრეტული შედეგები. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 2015 წელს 16%-ით გაიზარდა და, როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის პირდაპირი შედეგი, რეალობა ხდება საქართველოდან ევროკავშირში ახალი სახეობის პროდუქციის ექსპორტი. უკვე ხდება ევროკავშირში ქართული კივის, მოცვის, თხილის, ნივრისა და ღვინის ექსპორტირება. ევროკავშირში ექსპორტის მაჩვენებელი საგრძნობლად გაზარდა ასევე სპილენძისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტმა. საქართველომ შემოიღო ევროპული სტანდარტები ისეთ სფეროებში, როგორებიც არის ჯანდაცვა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა. ამჟამად მომზადების პროცესშია ასოცირების დღის წესრიგი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება მოკლე და საშუალოვადიანი რეფორმების პრიორიტეტები 2017-2020 წლებისათვის.

ეკონომიკური და სოციალური მობილობის თვალსაზრისით ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისთვის საუკეთესო ვარიანტი ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანება იქნებოდა. ეს უკანასკნელი, 1994 წელს დაარსდა, იმ მიზნით, რომ „ევროკავშირის შიდა ბაზარი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის11 ქვეყნებისთვის“.12 ევროპის ეკონომიკური ზონის წევრობა დამოკიდებულია ევროპის ერთიან ბაზართან დაკავშირებული სრული კანონმდებლობის იმპლემენტაციასთან, რომლის ძირითად ნაწილსაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უკვე მოიცავს. ევროპის ეკონომიკურ ზონასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ეს უკანასკნელი ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხივე თავისუფლებას - საქონლის, ადამიანების, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას მოიცავს. მეორე მხრივ, ევროპის ეკონომიკური ზონა არ ითხოვს საბაჟო კავშირის წევრობას და არც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებას ზღუდავს. მაგალითად, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებს მესამე ქვეყნებთან უკვე 31 თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

2016 წლის 1 ივლისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, მისი 431-ე მუხლის თანახმად, ძალაში შევიდა მას შემდეგ რაც 23 მაისს ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რატიფიკაციის პროცედურების დასრულების თაობაზე. რატიფიკაციის საკმაოდ შრომატევადი პროცესი, ორ წელზე ნაკლები გაგრძელდა და მასში მონაწილეობდნენ ევროპარლამენტი, ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოები. შეთანხმების უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში რატიფიკაცია ცალსახად წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს ევროპული გზის მტკიცე მხარდაჭერას. 1 ივლისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიაში, ვინაიდან ასოცირების შეთანხმება უკვე ოფიციალურად გახდა ევროკავშირთან სრულიად ახალი, მაღალი დონის თანამშრომლობის განმსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო. დღეიდან, ოფიციალურად ამოქმედდა ხელშეკრულების ყველა დებულება და საქართველოს პოლიტიკური

ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ევროპული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტების დანერგვას გულისხმობს, შეუქცევადად და სრულმასშტაბიანად წარიმართება.

[10]2019 წლის 5 მარტს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 შეხვედრა. ასოცირების საბჭომ ცნობად მიიღო საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ანგარიში და დადებითად შეაფასა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში არსებული მდგომარეობა ასოცირების საბჭოს 2018 წლის თებერვალში ჩატარებული ბოლო შეხვედრის შემდეგ.

ნიშანდობლივია, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;
- ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;

[10] https://eeas.europa.eu/delegations/georgia/59093/

- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას;

- ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;

- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;

- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

- ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო იმპორტის 4,4 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.

2.2 საქართველოს მიერ ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

[11]ჩინეთსა და საქართველოს შორის 13 მაისს 2017 წელს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაეხსნა, რომელიც დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს. ქართველ მწარმოებლებს შეუძლიათ ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი ჩინეთის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ისარგებლებს ისეთი მნიშვნელოვანი ქართული პროდუქცია, როგორიცაა: ღვინო, მინერალური წყალი,

[11] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

უალკოჰოლო სასმელები, ხილ-ბოსტნეული, თაფლი, თხილი, ჩაი, სამკურნალო საშუალებები და სხვა.
მას შემდეგ რაც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმდა, საქართველო გახდა რეგიონში ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება როგორც ჩინეთთან, ასევე ევროკავშირთანაც აქვს.
ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება პროდუქციაზე ტარიფების ლიბერალიზაციას გულისხმობს. ამ ხელშეკრულების მნიშვნელობას აორმაგებს ის ფაქტი, რომ ჩინეთის ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით დაწესებული შეღავათებით ისარგებლებს საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიც, რომელთა წარმოების მოცულობის ზრდა მოთხოვნის შემთხვევაში ძალიან რეალურია.
ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირის ბაზრის ათვისებასაც ხელს შეუწყობს. დაგეგმილ ჩინურ ინვესტიციებს შესაბამისად წარმოების ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის შემოდინებაც მოჰყვება. ამან კი ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტის სტრუქტურის მოდერნიზაციას, გაჯანსაღებას, რაც ევროკავშირის მაღალ მსყიდველობითუნარიან ბაზარზე დამკვიდრების საფუძველი შესაძლოა გახდეს.
ჩინელი ინვესტორებისთვის საქართველო ევროპასთან გეოგრაფიული სიახლოვის გამოც მიმზიდველია, ხოლო ევროპელი და სხვა ქვეყნის ინვესტორებისთვის საკმაოდ კარგად ცნობილია, რომ საქართველო ტრანსკასპიური დერეფნის შემადგენელი ქვეყანაა და ჩინეთთან მოკლევადიანი სარკინიგზო გადაზიდვებიც შესაძლებელია.
ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირობებში შესაძლებელია, რომ ინვესტორებმა საქართველოში ააშენონ საწარმოები და საქართველოში ნაწარმოები პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ ასევე შესაძლებელია, რომ ევროპელმა, აზიელმა თუ ამერიკელმა ინვესტორებმა წარმოებები დააფუძნონ საქართველოში და ჩინეთის უდიდეს ბაზარზე საქართველოს გავლით მისი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესაბამისად შევიდნენ. ამ ორი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებით საქართველო მრავალმხრივი ინტერესისი საგანი ხდება. გარდა იმისა, რომ ევროპელებს და ჩინელებს საქართველოს გავლით ერთმანეთის ბაზრებზე თავისუფალი წვდომა შეუძლიათ, ამ პროცესიდან

საქართველოს სარგებელი არის ის გადასახადები, რასაც ინვესტორები საქართველოში გადაიხდიან. კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი სარგებელი კი ისაა, რომ საქართველოში კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქტების მძლავრი წარმოების პრეცენდენტები გაჩნდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებით: „კონკურენტუნარიანი სამეწარმეო გარემო და ლიბერალური საბაზრო პოლიტიკა შესაძლებლობას აძლევს არა მხოლოდ ევროპულ და ჩინურ კომპანიებს, რომ საქართველოში ინვესტირების გზით მოახდინონ სხვადასხვა პროდუქტების და მომსახურების მიწოდება ერთმანეთის ბაზრებზე, არამედ რეგიონში საქართველოს პრეფერენციული რეჟიმების უპირატესობით ისარგებლონ მსოფლიოს სხვა ქვეყნის კომპანიებმაც. აღნიშნული თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ასევე, ევროკავშირისა და ჩინეთის საიმპორტო ბაზრების მოთხოვნის ადეკვატურად, საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებას “. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არც თუ დიდი ხნის წინ ამოქმედდა, გასულ წელს საქართველოს ღვინის ექსპორტის მიმართულებით უკვე გარკვეული წარმატებები ჰქონდა. [12]2017 წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებულია 6,73 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 38%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მონაცემებს. ჩინეთი, ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალში მესამე ადგილს იკავებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებით ჩინელი ინვესტორები აქტიურად ინტერესდებიან. მაგალითად, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილის მფლობელი ჩინური კომპანია CEFC China Energy გახდა. CEFC China Energy ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კომპანიაა, რომელიც ენერგეტიკის, საფინანსო, კომერციულ, სავაჭრო და ლოგისტიკის სფეროებში საქმიანობს. კომპანია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემდგომ

---

12 https://www.ipress.ge/new/71865-saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesakheb-shetankhmeba-gaformda

განვითარებას გეგმავს, მათ შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინდუსტრიულ ზონაში პროდუქციის წარმოება და იმ ბაზრებზე გატანა, ვისთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს. ერთ-ერთი პირველი სფერო, სადაც ინვესტიციები ჩაიდება ტექსტილის წარმოება იქნება. ჩინელი ინვესტორები საქართველოში დუტის ქურთუკების წარმოების შექმნას, ქვეყანაში დამზადებული პროდუქციის ევროკავშირის, ამერიკისა და კანადის ბაზრებზე გატანას გეგმავენ: „საქართველოში დუტის ქურთუკების სამკერვალო ქარხანა უნდა აშენდეს. წინასწარი პროექტით, ცნობილი ბრენდებისთვის საექსპორტო პროდუქცია დამზადდება. საწყის ეტაპზე კი განსაკუთრებული ყურადღება „იაია“(Yaya)-ს ბრენდს დაეთმობა, რომელიც ჩინეთში 1972 წლიდან იწარმოება და ექსპორტზე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გადის. პროექტის ფარგლებში საქართველოდან ჩინეთში ცნობილ ტექსტილის საწარმოებში 300-ზე მეტი მუშახელი გადამზადდება“, - აღნიშნულია საპარტნიორო ფონდის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში. ტექსტილის გარდა საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობა ტურისტული ინდუსტრიის სფეროებსაც შეეხო. „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში „საპარტნიორო ფონდს“ და Beijing Great Wall International Travel Service Co.,Ltd -სა და Ankeyunda Air Service Co.,Ltd-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით მხარეები საერთშორისო სტრატეგიის განვითარებაზე შეთანხდნენ, რომელიც სამოქალაქო ავიაციისა და ტურისტული ინდუსტრიის სფეროებში ბაზრის წახალისებას და ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს. სტატისტიკური მონაცემებით ჩინეთის ერთი მოქალაქე მოგზაურობის დროს საშუალოდ 900 აშშ დოლარს ხარჯავს. შესაბამისად, ქვეყანა, რომელშიც მილიარდ ოთხასი ათასი ადამიანი ცხოვრობს საქართველოსთვის უფრო საინტერესო ხდება.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში მემორანდუმები გაფორმდა წყლისა და ჰიდრორესურსების (ძიანგსის პროვინციის წყლისა და ჰიდრორესურსების სამშენებლო კომპანია) და ენერგეტიკის სფეროთი დაინტერესებულ (ხუასინის ენერგეტიკულ კომპანია CEFC Shanghai Financial Service Co., Ltd) ჩინურ კომპანიებთან. ქართული მხარე ქიმიური ინჟინერიის კომპანიის (CNCEC) შვილობილ შპს SEDIN Engineering Co-თანაც ითანამშრომლებს.

ბოლო წლებში საქართველოდან ჩინეთში ექსპორტის ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე იმპორტის. მაგალითად, 2017 წლის 10 თვეში ჩინეთში ექსპორტი (გაიზარდა 27%-თ, ხოლო იმპორტი 17%-ით. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთში სამომავლოდ ექსპორტის ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია იმ პროდუქციას (ღვინო, ხილ-ბოსტნეულის წვენები და კონსერვები, უალკოჰოლო სასმელები, თხილი, მინერალური წყლები და ა.შ.), რომელზეც ჩინეთში მაღალი საიმპორტო ტარიფები მოქმედებს, ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება საქართველოს ექსპორტიორებისთვის საკმაოდ მომგებიანია. ექსპორტის გამართული სისტემების შექმნა, რომელიც შესაძლოა ჩინურმა ინვესტიციებმა გამოიწვიოს, ბუნებრივად დაეხმარება საქართველოს DCFTA-ს შესაძლებლობებიდან გამომდინარე ევროკავშირის ბაზრის ათვისებაში. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი ჯოსეფ ლარსენი აცხადებს, რომ ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით, შესაძლოა, საქართველო უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო გაძლიერდეს. ჯოსეფ ლარსენი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში ჩინეთის ინტერესები მხოლოდ ეკონომიკურ სფეროს მოიცავს, თუმცა ღრმა ეკონომიკურ ურთიერთობებს გეოპოლიტიკური შედეგებიც მოსდევს. მისივე თქმით, ეკონომიკურ ჩართულობასთან ერთად, ჩინეთი უფრო მეტად იქნება დაინტერესებული საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუთხით.

პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი საქართველოს მთავრობას ურჩევს, ისარგებლოს თავისი მდგომარეობით და გახდეს დამაკავშირებელი ხიდი აზიასა და ევროპას შორის. ჯოზეფ ლარსენის თქმით, ქვეყანას შეუძლია ჩინეთ-თურქეთისა და ჩინეთ-უკრაინის სავაჭრო და ინფრასტრუქტურული მარშრუტების ცენტრი გახდეს

2.3 საქართველოს ინტეგრაცია სუამ-ში

[13]1996 წლის მაისში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩატარებულ კონფერენციაზე - „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე“ , გაიმართა შეხვედრა აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის დელეგაციებს შორის .აღნიშნული შეხვედრა საფუძვლად დაედო ზემოხსენებული ქვეყნების სუამ-ის ფარგლებში გაერთიანებასა და შემდგომ თანამშრომლობას. 1997 წლის 10 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს სამიტის მსვლელობისას, ქ. სტრასბურგში ოთხი ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) მონაწილეობით დაფუძნდა სუამ-ის საკონსულტაციო ფორუმი. 1999 წლის 24 აპრილს ქ. ვაშინგტონში, უმაღლესი დონის ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს შეხვედრის ფარგლებში, შედგა სუამ-ის წევრ-სახელმწიფოთა და უზბეკეთის მეთაურების შეხვედრა. შეხვედრის შედეგად მიღებულ იქნა ვაშინგტონის განცხადება და ფორუმის ფორმატი ტრანსფორმირდა სუუამ-ით. სუუამ-ის გაერთიანების სტრუქტურა და მიზნები 2001 წლის 7 ივნისიდან 2006 წლის 23 მაისამდე (2001 წლის იალტის ქარტიის მიხედვით):- სუამ-ის უმაღლეს ორგანოს წარმნოადგენს სუუამ-ის სახელმწიფოების მეთაურთა ყოველწლიური შეხვედრა;- სუამ-ის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს სუუამ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო;- სუამ-ის სამუშაო ორგანოს წარმოადგენს სუუამ-ის ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სუუამ-ის წევრ-სახელმწიფოთა კოორდინატორები;- სუამ-ის საინფორმაციო ფუნქციების შესრულება ევალება სუამ-ის სანფორმაციო ოფისს, ქ. კიევი;

სუამ-ის ფარგლებში უწყებათაშორის დონეზე თანამშრომლობის კოორდინაცია ევალება შვიდ სამუშაო ჯგუფს:1. ენერგეტიკის საკითხებში (კოორდინატორი - უკრაინა); 2. ტრანსპორტის საკითხებში (კოორდინატორი - საქართველო);3. სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში (კოორდინატორი - უკრაინა);4. საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში (კოორდინატორი - მოლდოვას რესპუბლიკა);5. კულტურის, მეცნიერებისა და

[13] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

განათლების საკითხებში (კოორდინატორი - საქართველო);6. ტურიზმის საკითხებში (კოორდინატორი - მოლდოვას რესპუბლიკა);7. ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში (კოორდინატორი - აზერბაიჯანის რესპუბლიკა).

2005 წლის 22 აპრილის კიშინეუს სამიტზე პრეზიდენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, სუამ-ის გაერთიანების ბაზაზე ახალი საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც დაეფუძნებოდა 2001 წელს სუუამ-ის ქვეყნების პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ იალტის ქარტიას და 2005 წელს მიღებულ კიშინეუს დეკლარაციას. 2005-2006 წლის განმავლობაში ჩატარდა ექსპერტთა ხუთი შეხვედრა და ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტის სხდომები ახალი ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტების შემუშავებისა და შეთანხმების მიზნით.2006 წლის 22-23 მაისს ქ. კიევში ჩატარებულ სუამ-ის მორიგ სამიტზე, სუამ-ის გაერთანების ბაზაზე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია -- დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-ი. ახალი ორგანიზაციის შექმნა ოფიციალურად გაფორმდა სუამ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა მიერ კიევის შესაბამისი დეკლარაციის, ორგანიზაციის წესდებისა და სხვა დამფუძნებელი დოკუმენტების ხელმოწერით.

ახალ ორგანიზაციას ნაწილობრივ შეუნარჩუნდა სახელწოდება და ახალ სახელწოდებაში კვლავ ფიგურირებს გაერთიანების ადრე არსებული აბრევიატურა სუამ-ი. თუმცა ახალი ორგანიზაციის გაფართოვების შემთხვევაშიც მას არ ჩამოშორდება ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყნების შემადგენლობის ამსახველი აბრევიატურა სუამ-ი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა). ახალი ორგანიზაციის სახელწოდებაში სუამ-ის შენარჩუნება განპირობებულია ამ გაერთიანების ყოფილი სახელწოდების პოპულარულობით საერთაშორისო არენაზე.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-ის ძირითადი მიზნები ორგანიზაციის წესდების შესაბამისად:- დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა;- სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;- საერთაშორისო და რგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება;- ევროპის ინტეგრაციის გაღრმავება საერთო უსაფრთხოების სივრცის შესაქმნელად, აგრეთვე

ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოება;- მხარეთა სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული პოტენციალის განვითარება;- ურთიერთდაინტერესების სფეროებში პოლიტიკური ურთიერთქმედებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის გააქტიურება.
ახალი ორგანიზაციის სტრუქტურა წესდებაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:1. საბჭო - საბჭო არის ორგანიზაციის ძირითადი ორგანო, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს სახელმწიფოთა მეთაურების (სამიტი), საგარეო საქმეთა მინისტრების, ეროვნული კოორდინატორებისა და მუდმივი წარმომადგენლების დონეზე.2. სამდივნოს - სამდივნო ახორციელებს სუამ-ის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. სამდივნო ფუნქციონირებს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით

[14]სუამ-ის ორგანოებში გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მხარის მონაწილეობით, კენჭისყრის გარეშე, შეთანხმების გზით კონსენსუსის საფუძველზე. სუამ-ი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. სუუამ-ის უმაღლესი ორგანო სახელმწიფოს მეთაურთა ყოველწლიური შეხვედრებია. სუუამ-ში თავმჯდომარეობა წევრი სახელმწიფოების მიერ ალფაბეტის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრებს შორის პერიოდში ხორციელდება.

სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრებზე მიიღება გადაწყვეტილება:

- სუუამ-ის ფარგლებში პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე;
- სუუამ-ის სპეციალიზებული ორგანოების შექმნაზე;
- საერთო ინტერესის მქონე აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე პოზიციების შეთანხმებაზე.

[14] Tomas Valasek, Military cooperation between Georgia, Ukraine, Uzbekistan, Azerbaijan and Moldova in the GUUAM framework, Caspian Studies Program, December 2000;

სუუამ-ის აღმასრულებელი ორგანო საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაა, რომელიც, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ იმართება. საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განიხილება სუუამ-ის ფარგლებში მიღებული შეთანხმებების განხორციელების საკითხები. ასევე მზადდება სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრებისათვის სუუამ-ის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების წინადადებები.

სუუამ-ის სამუშაო ორგანო ეროვნული კოორდინატორების კომიტეტია, რომლის შემადგენლობაშიც საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ დანიშნული ეროვნული კოორდინატორები შედიან, თითო წევრი სახელმწიფოდან. კოორდინატორები წევრ-სახელმწიფოებს შორის სუუამ-ის ფარგლებში საქმიანობას კოორდინირებას უწევენ, უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრებს. ეროვნულ კოორდინატორთა შეხვედრები თანმიმდევრობით წევრ-სახელმწიფოებში კვარტალურად იმართება. ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ინიციატივით შეიძლება ეროვნულ კოორდინატორთა რიგგარეშე შეხვედრაც გაიმართოს.

სუუამ-ის ფარგლებში გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება, ხოლო სამუშაო ენა რუსული და ინგლისურია.

ახალ ორგანიზაციაში თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებია - ეკონომიკა, უსაფრთხოება და დემოკრატია. ახალი ორგანიზაციის ძირითადი მიზანია სუამ-ის წევრ სახელმწიფოებში თანამშრომლობის გაღრმავება ეკონომიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სფეროებში, აგრეთვე უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვარების, სტაბილურობის და დემოკრატიის განმტკიცების და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით ძალისხმევების კოორდინაცია. [15]სუამ-ის წევრების ინტეგრაციისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია კასპიის აუზისა და ევროპის დამაკავშირებელი ნავთობის სატრანსპორტო დერეფნის დაფუძნება, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისა და რეგიონში ინსტიტუციონალიზებული უსაფრთხოების შექმნის

[15] GUUAM - successor to the CIS or competitor, Central Asia/Caucasus/Analyst, Friday/August 6 1999;

სურვილი, სუუამ-ის სამშვიდობო ძალების შექმნის სურვილი და მათი საერთო წინააღმდეგობა დსთ-ში რუსეთის ჰეგემონობისადმი.

სუუამ-ის თანამშრომლობაში წარმოიქმნა ოთხი სფერო, რომელიც ინტეგრაციის მიმართულებებს განსაზღვრავს. ეს სფეროებია ინსტიტუციონალიზაცია, ეკონომიკური/სავაჭრო თანამშრომლობა, ჰუმანიტარული საქმიანობა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა.

ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება ამ მიმართულებებით უნდა ემსახურებოდეს ამ ქვეყნების ინტეგრაციას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

ახალი ორგანიზაციის ფარგლებში აქტიურად გაგრძელდება არსებული შეთანხმებების და პროექტების რეალიზაცია და თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები შეიძენს ახალ კომპონენტებს. დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-მა უკვე გადადგა პრიველი წარმატებული ნაბიჯი, როცა 2006 წლის სამიტზე პრეზიდენტების მიერ ხელი მოეწერა ოქმს სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოების საქონლის წარმოშობის დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ 2002 წელს ხელმოწერილი შეთანხმების იმპლემენტაციას. აღნიშნული ოქმის ხელმოწერა ხსენებული შეთანხმების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა და ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოვებასა და განვითარებას სუამ-ის ქვეყნებს შორის.

სუამ-ის ქვეყნების მუდმივი დიპლომატიური მისიები აქტიურად თანამშრომლობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, როგორიცაა გაერო, ეუთო, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, იგეგმება თანამშრომლობის განვითარება ასევე ნატო-ს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ფარგლებში. აღნიშნული ორგანიზაციების ფარგლებში რეგულარულად კეთდება სუამ-ის სახელით განცხადებები სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე.

წარმატებით მიმდინარეობს სუამ-ის ფარგლებში თანამშრომლობის მიმართულებების გაფართოვება. ამ მიმართულებით და ახალი ორგანიზაციაში ახალი ინიციატივების დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია უშიშროების საბჭოს მდივნების შეხვედრები. განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა დღეს კონფლიქტების დარეგულირებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებმა. კონფლიქტების დარეგულირებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე სუამ-ის ფარგლებში არსებობს სამუშაო ჯგუფები, რომელთა შეხვედრები რეგულარულად ჩატარდება და მოწოდებული იქნება შეიმუშავოს სუამ-ის ერთიანი პოზიცია აღნიშნულ პრობლემატურ საკითხებთან მიმართებაში.

სუამ-ის ფარგლებში არსებული პროექტები:

1. ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროექტი (Trade and Transport Facilitation):

პროექტის აღწერა:

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას ვაჭრობისა და ტრანსპორტირების სფეროში შემდეგი მიმართულებით:-ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, რაც გულისხმობს სამართლებრივი ნორმებისა და პროცედურების ჰარმონიზაციასა და ამ სფეროებში მხარეთა საქმიანობის კოორდინაციას; -საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს ტრეინინგს და სასაზღვრო პუნქტების (cross-border points) აღჭურვას საჭირო მოწყობილობებით; -ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა და სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხოებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა.

პროექტის იმპლემენტაციის მდგომარეობა:საქართველომ, უკრაინამ და აზერბაიჯანმა დაასრულეს (TTF) პროგრამით გათვალისწინებულ ეროვნულ გეგმაზე მუშაობა. მოლდოვას რესპუბლიკამ უკვე დაამტკიცა ხსენებული გეგმა. სუამ-ის ქვეყნების მიერ აღნიშნული ეროვნული გეგმების წარმოდგენის შემდეგ უნდა მოხდეს ერთობლივი შეჯერებული დოკუმენტის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს მონაწილე ქვეყნებს კოორდინირებულად იმუშაონ პროექტის წარმატებული რეალიზაციისათვის.

2. ტერორიზმის, ორგანიზებული დამნაშავეობის, ნარკოტიკების გავრცელებისა და სხვა საშიში სახის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სუამ-ის ვირტუალური ცენტრისა (Virtual Center) და სახელმწიფოთაშორისი საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა (Interstate Information Management System).

[16]პროექტის აღწერა:სუამ-ის ვირტუალური ცენტრი წარმოადგენს თითოეულ ქვეყანაში შექმნილი ანტიტერორისტული ჯგუფის ან ცენტრის ერთობლივ და კოორდინირებულ საქმიანობას და პირველ ეტაპზე არ გულისხმობს ერთიანი საერთაშორისო მუდმივმოქმედი ცენტრის დაფუძნებას სუამ-ის რომელიმე დედაქალაქში.

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას შემდეგი მიმართულებით:-სუამ-ის ფარგლებში ტერორიზმის, ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სამართალდაცვის სფეროში თანამშრომლობის საქმეში ძალისხმევის კოორდინაცია;-სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნების ტერორისტული, ექსტრემისტული მიზნით გამოყენების აღმკვეთი პირობების უზრუნველყოფა; -სუამ-ის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი უწყებების კოორდინირებული საქმიანობის მიზნით ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა.

პროექტის იმპლემენტაციის მდგომარეობა: 2005 წლის მარტში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აშშ-ის ფინანსური დახმარებით ჩატარებული სწავლება-სემინარის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული VLEC ცენტრი. ანლოგიური ეროვნული ცენტრები შექმნილია სუამ-ის სხვა მონაწილე სახელმწიფოებშიც. პროექტის იმპლემენტაციის შემდგომი ეტაპი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლის პროცესის დაწყებას, როგორც შიდა უწყებრივ დონეზე ასევე სუამ-ის მონაწილე ქვეყნების ეროვნულ ცენტრებს შორის. 2006 წლის 19 მაისს წარმატებით განხორციელდა დაშიფრული კომუნიკაციებით ინფორმაციის გაცვლის ექსპერიმენტი ერვონულ ვირტუალურ ცენტრებს შორის. შესაბამისი ბაზა აღნიშნული პროექტის სრული რეალიზაციისთვის უკვე არსებობს.

[16] Fahrad Mammadov, GUUAM summit scheduled long ago took place, Turkistan Newsletter, Friday, 8 June 2001

3. პროკურატურის მრჩეველთა ჯგუფი - Prosecutor Advisory Group (PAG)პროექტის აღწერა:ამ პროგრამის მიზანია სუამის ფარგლებში პროკურატურებს შორის თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება. საწყის ეტაპზე ჯგუფის მიზანია შესაბამისი უწყებების დახმარება და რჩევებით უზრუნველყოფა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კორუფციასთან, ნარკოტიკული ნივითიერებების გავრცელებასა და სხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულებებთან დაკავშირებული გამოძიებები.

პროგრამის იმპლემენტაციის მდგომარეობა:EAAT - ის ექსპერტებმა შეისწავლეს სუამ-ის ქვეყნებში არსებული ვითარება. საქართველოს გენერალური პროკურატურა მზად არის მიიღოს მონაწილეობა ამ პროექტში. საქართველოს მხრიდან პროექტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, პროექტის მდივანს დააფინანსებს აშშ-ის მხარე.

4. ანტი-კორუფციული პროექტი პროექტის აღწერა:პროექტის მიზანია სუამ-ის ქვეყნების საქმიანობის კოორდინაცია და ჰარმონიზაცია ანტი-კორუფციულ სფეროში, ერთობლივი სტრატეგიის მიხედვით.

პროგრამის იმპლემენტაციის მდგომარეობა:პროექტის თავდაპირველი იდეა იყო სუამ-ის ქვეყნებში ანტი-კორუფციული სტრატეგიების შემუშავება, თუმცა საქართველომ უკვე დაამტკიცა ეროვნული ანტი-კორუფციული სტრატეგია. 30 ნოემბერს ქ. კიშინეუში სუამ-ის ფარგლებში ტერორიზმის, ორგანიზებული დამნაშავეობის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის მესამე შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ანტი-კორუფციული სამუშაო ჯგუფის საქმიანობის კონცეფცია, ხოლო მ.წ. 22 თებერვალს ქ. თბილისში გამართულ აღნიშნული ჯგუფის მორიგ შეხვედრაზე დამტკიცებულ იქნა 2006 წლის შესაბამისი სამოქმედო გეგმა. 2006 წლის 6-7 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდება პირველი ანტიკორუფციული კონფერენცია სუამ-ის ფარგლებში.

სუამ-ის ქვეყნების ვალდებულებები პროექტების განხორციელებაზე

2005 წლის 25 ივლისს ქ. ბაქოში სუამ-ის ფარგლებში ტერორიზმისა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დროს დანაწილდა სუამ-ში თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებების კოორდინაციის სფეროები

1. ვირტუალური ცენტრი და საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა - აზერბაიჯანი;

2. ვაჭრობის და ტრანსპორტირების ხელშეწყობა TTF - უკრაინა;

3. პროკურატურების მრჩეველთა ჯგუფი (Prosecutor Advisory Group (PAG) for GUAM) - საქართველო:

4. ადამიანებით ვაჭრობისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა - მოლდოვა;

5. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა - აზერბაიჯანი;

6. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა - აზერბაიჯანი;

7. ანტიკორუფციული მიმართულება - საქართველო.

EAAT-ის წარმომადგენლები მუშაობენ სუამ-ის ყველა ქვეყანაში და ექსპერტულ დახმარებას უწევენ ქვეყნებს აღნიშნული პროექტების სამუშო ჯგუფების, ერთიანი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში და მათ იმპლემენტაციაში. საქართველოს მხარე აქტიურად უჭერს მხარს სუამ-ის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებას და გააქტიურებას, აგრეთვე ზემოხსენებული პროექტების რეალიზაციას, რისი დასტურიც არის საქართველოს პრემიერ მინისტრის 19 აპრილის #50 ბრძანება ეროვნულ კოორდინატორთან სუამ-ის ეროვნული უწყებათაშორისი ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანი იქნება ქვეყნის შიგნით სუამ-ის საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაცია, რასაც განახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

[17]რაც შეეხება სუამ-ის გაფართოებას , ექსპერტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სუამ-ის გასაძლიერებლად საჭიროა დსთ-ის სივრცის მიღმა ჯგუფში ახალი წევრებისა და დამკვირვებლების მოძებნა. მასში ძირითადად დასავლეთის ქვეყნები მოიაზრება. შესაძლო კანდიდატებში კი მოიაზრება პოლონეთი, ნატო-ს წევრი, რომელიც სლოვაკეთთან ერთად უკრაინას ესაზღვრება. რუმინეთი არა მარტო ესაზღვრება მოლდავას, არამედ საქართველო რუმინეთსა და ბულგარეთს უყურებს, როგორც მეზობლებს შავიზღვისპირეთში.

[17] Tomas Valasek, Military cooperation between Georgia, Ukraine, Uzbekistan, Azerbaijan and Moldova in the GUUAM framework, Caspian Studies Program, December 2000;

თუკი ნატო-ს წევრის სუამ-ში მიწვევა რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევს, რუმინეთი სრულიად განსხვავებული საკითხია. რუმინეთის ნატო-ში გაწევრიანება ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი. ბუქარესტი ძალზე დაინტერესებულია კასპიური რესურსების მის ტერიტორიაზე შუაგულ ევროპის მიმართულებით ტრანზიტით. რუმინეთის სუამ-ში გაწევრიანებამ კი მისი სატრანზიტო ქვეყნად გახდომის შანსები შეიძლება გაზარდოს.

რუმინეთმა სუამ-თან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. 2000 წლის ათასწლეულის სამიტის შემდეგ სუამ-ის ლიდერებმა ბუქარესტის ინიციატივა პოზიტიურად მიიღეს. რუმინეთის მსგავსი განცხადება სუამ-ის გარკვეული პოტენციალის დამადასტურებლად მიიჩნიეს.

სუამ-ის გაფართოებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ,,ამ ორგანიზაციის კარები ღია უნდა იყოს სხვა ქვეყნებისათვისაც, როგორებიცაა თურქეთი, ბულგარეთი და პოლონეთი”.

3. რეგიონული ინტეგრაციის თანამედროვე პრობლემები და პერსპექტივები

3.1. ძირითადი სირთულეები ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში

[18]ეკონომიკური სფერო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ყველაზე განვითარებულ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) ხელშეკრულება ყველაზე მასშტაბური თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებაა, რომელიც ევროკავშირს რომელიმე ქვეყანასთან დღემდე გაუფორმებია. იგი უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირის ერთიან ბაზარში ინტეგრაციას და საქართველოს საშუალებას აძლევს, მიიღოს ევროკავშირის ოთხი ძირითადი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. თუმცა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან ამოღებული იყო მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფლება - სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირის შემდგომი გაფართოება არ განიხილება, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, ყურადღება ორ ძირითად ამოცანაზე - ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებასა და ევროკავშირში სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების მიღებაზე უნდა გაემახვილებინათ. რაოდენ არარეალისტურადაც უნდა მოჩანდეს, დღეს არსებული საიმიგრაციო კრიზისისა და ევროკავშირის ბევრ ქვეყნაში მემარჯვენე ძალების მომძლავრების პირობებში, გრძელვადიან პერსპექტივაში სამუშაო ბაზრის გახსნა შესაძლოა, მომგებიანი აღმოჩნდეს ორივე მხარისთვის - როგორც ევროკავშირისთვის,

[18] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის. [19]ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა დემოგრაფიულად მობერებულია და საკუთარი სოციალური სისტემების შესანარჩუნებლად აუცილებლად ესაჭიროებათ იმიგრაციის გარკვეული დონე, თუნდაც კონტროლის უფრო დახვეწილი მექანიზმებით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს კი შეუძლიათ, ევროკავშირს გასული ათწლეულების მანძილზე ევროკავშირმა მესამე ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის რამდენიმე მოდელი შეიმუშავა, რომლებიც ინტეგრაციის სხვადასხვა დონეს მოიცავს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის გარდა, ევროპის ეკონომიკური ზონა და საბაჟო კავშირი ეკონომიკური ინტეგრაციის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა. შესაბამისად, ამ სამი ეკონომიკური ინტეგრაციის მოდელის შედარებაც მნიშვნელოვანია. შედარებით უკეთ ინტეგრირებადი, კვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი მუშახელი შესთავაზონ. ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივი უკმაყოფილების შესამსუბუქებლად, ასევე შესაძლებელია დამატებითი საკონტროლო მექანიზმების შემოღება, მაგალითად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან შესული მუშახელისთვის დამატებითი, სეგმენტური და დროითი ლიმიტების დაწესება. ევროკავშირის სამუშაო ბაზარზე წვდომა მომგებიანი იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის, შეამცირებს რა, ამ ქვეყნების მოსახლეობის რუსეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებზე დამოკიდებულებას (საქართველოს შემთხვევაში, რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების რაოდენობა, ამ ეტაპზე, წლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 5 და 10%-ს შორის მერყეობს.

02.02.17 წელს საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში. 647 დეპუტატიდან საქართველოს ვიზალიბერალიზაციის მომხრე 553, ხოლო მოწინააღმდეგე 66 დეპუტატი გახდა. ხმის მიცემისგან თავი 28 დეპუტატმა შეიკავა.

[19] Фомичев В.И. Международная торговля:Учебник; 2-е изд.,перераб. и доп.-М.: ИНФРА-М, 2000.

ევროპის ეკონომიკური ზონა

[20]ეკონომიკური და სოციალური მობილობის თვალსაზრისით ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისთვის საუკეთესო ვარიანტი ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანება იქნებოდა. ეს უკანასკნელი, 1994 წელს დაარსდა, იმ მიზნით, რომ „ევროკავშირის შიდა ბაზარი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის11 ქვეყნებისთვის“.12 ევროპის ეკონომიკური ზონის წევრობა დამოკიდებულია ევროპის ერთიან ბაზართან დაკავშირებული სრული კანონმდებლობის იმპლემენტაციასთან, რომლის ძირითად ნაწილსაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უკვე მოიცავს. ევროპის ეკონომიკურ ზონასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ეს უკანასკნელი ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხივე თავისუფლებას - საქონლის, ადამიანების, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას მოიცავს. მეორე მხრივ, ევროპის ეკონომიკური ზონა არ ითხოვს საბაჟო კავშირის წევრობას და არც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებას ზღუდავს. მაგალითად, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებს მესამე ქვეყნებთან უკვე 31 თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) 1960 წელს, სტოკჰოლმში შეიქმნა. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ მთავრობათშორის ორგანიზაციას, რომლის მთავარი მიზანიცაა, უზრუნველყოს მისი წევრ-სახელმწიფოების ეკონომიკური ინტეგრაცია და თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან. ამჟამად ორგანიზაცია ოთხ ქვეყანას: ნორვეგიას, ისლანდიას, ლიხტენშტეინსა და შვეიცარიას აერთიანებს. ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანების ერთ-ერთი ნაცადი ხერხი, სწორედ, ზემოთაღნიშნული ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრობაა, თუმცა ეს შესაძლოა, ევროკავშირის

[20] P. Knox & J. Agnew, The Geography of the World Economy (London: Edward Arnold,1994).

სრულ წევრობაზე რთული პროცესი აღმოჩნდეს. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის კონვენციის თანახმად, „ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს წევრობის სურვილის გამოთქმის უფლება, თუმცა, გაწევრიანებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის პალატა იღებს. ასოციაციის წევრობა განისაზღვრება პალატის გადაწყვეტილებაში ასახული წესებითა და პირობებით“. ამასთან, აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ევროკავშირისგან განსხვავებით, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას წევრობის ოფიციალური კრიტერიუმები არ გააჩნია და მასში გაწევრიანება ორგანიზაციის უმთავრესი მმართველი ორგანოს, პალატის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანების ერთ-ერთი ნაცადი ხერხი, სწორედ, ზემოთაღნიშნული ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრობაა, თუმცა ეს შესაძლოა, ევროკავშირის სრულ წევრობაზე რთული პროცესი აღმოჩნდეს. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის კონვენციის თანახმად, „ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს წევრობის სურვილის გამოთქმის უფლება, თუმცა, გაწევრიანებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის პალატა იღებს. ასოციაციის წევრობა განისაზღვრება პალატის გადაწყვეტილებაში ასახული წესებითა და პირობებით“. ამასთან, აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ევროკავშირისგან განსხვავებით, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას წევრობის ოფიციალური კრიტერიუმები არ გააჩნია და მასში გაწევრიანება ორგანიზაციის უმთავრესი მმართველი ორგანოს, პალატის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ის ფაქტი, რომ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის პალატის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან ზეგავლენას პოლიტიკური პრიორიტეტები ახდენს, კიდევ უფრო ნათელი გახდა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ განვითარებული მოვლენების შედეგად. კერძოდ, ასოციაციის ერთ-ერთი წევრი ნორვეგია, დიდი ბრიტანეთის (ასოციაციის დამფუძნებელი წევრი, რომელმაც შემდეგ ასოციაცია დატოვა) ხელახლა გაწევრიანების წინააღმდეგი იყო, რადგანაც, მისი ხელახალი გაწევრიანება, ორგანიზაციაში ძალთა წონასწორობას ნორვეგიის საწინააღმდგეგოდ შეცვლიდა.15 აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს შემთხვევაში, კიდევ უფრო ნაკლებია საიმისო მიზეზი, რომ განვითარებულ დასავლეთ ევროპულ ქვეყნებს უფრო

ღარიბი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნის საკუთარ გუნდში მიღება მოუნდეთ. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან გრძელვადიანი მოლაპარაკებების დაწყების ნაცვლად, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროევროპული ქვეყნებისთვის უმჯობესი იქნებოდა ასოციაციის მსგავსი მოდელის შემუშავებაზე ჯერ, ერთმანეთთან და შემდეგ, ევროკავშირთან მოლაპარაკების დაწყება. სამივე ქვეყანას (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) უკვე აქვს ვიზალიბერალიზაცია და ევროკავშირთან, დღემდე არსებულ მოდელებს შორის ყველაზე მასშტაბური, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა. ეს გარემოებები ევროპის თავისუფალ ზონაში სამომავლოდ გაწევრიანებისთვის მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობას ქმნის. შესაძლოა , ეს პროცესი „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია-აღმოსავლეთის“ ფარგლებშიც წარიმართოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ისეთი ქვეყნები მოიცვას, რომელთაც პარტნიორობის ფარგლებში შეთავაზებული ინიციატივები ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებისა და ვიზალიბერალიზაციის რეჟიმის ხელმოწერით სრულად ამოწურეს.

საბაჟო კავშირი

[21]ევროკავშირთან საბაჟო კავშირში გაერთიანება შეიძლება, ეკონომიკური ინტეგრაციის კიდევ ერთ მოდელად მოვიაზროთ. მესამე ქვეყნებთან ევროკავშირის საბაჟო კავშირის მუშაობის საუკეთესო მაგალითია 1995 წლიდან მოქმედი ევროკავშირ-თურქეთის საბაჟო კავშირი. ევროკავშირთან საბაჟო კავშირმა დიდწილად განაპირობა თურქეთის ეკონომიკური და სავაჭრო წინსვლა და იგი რეგიონის „სავაჭრო სახელმწიფოდ" აქცია. საბაჟო კავშირის შემოღების შემდეგ, ოცი წლის მანძილზე ევროკავშირსა და თურქეთს შორის ვაჭრობა ექვსჯერ გაიზარდა, ხოლო თურქეთის წლიური სავაჭრო ბრუნვა 1985-დან 2014 წლებამდე პერიოდში 20 მილიარდი აშშ დოლარიდან 400 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდა. საქართველოს მცირე ეკონომიკა თურქეთისას ვერ შეედრება. შესაბამისად, საქართველოსთვის (ისევე, როგორც ევროკავშირისთვის) მსგავს საბაჟო კავშირში შესვლის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი შედარებით მცირე იქნება. თუმცა, საბაჟო კავშირში გაწევრიანებას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. იგი ევროპულ ბაზარზე საქართველოს პოზიციებს გაამყარეს და, ამასთანავე, რუსეთს საქართველოს ეკონომიკაზე ზეწოლის ბერკეტებს გამოაცლის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბაჟო კავშირის წევრობას, შესაძლოა, უარყოფითი მხარეებიც ჰქონდეს. საბაჟო კავშირის ძირითადი მახასიათებელია „საერთო საგარეო ტარიფი", რომელიც საერთო სატარიფო და იმპორტის ქვოტირების სისტემას წარმოადგენს, რომელიც მესამე სახელმწიფოებთან მიმართებაში გამოიყენება". შესაბამისად, ევროკავშირთან საბაჟო კავშირში გაწევრიანება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს მესამე ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმების თავისუფლებას შეუზღუდავს, რაც შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს

[21] W. Wallace (ed.), The Dynamics of European Integration (London: Pinter, 1990).

მიერ ვარდების რევოლუციის შემდგომ გაცხადებულ ლიბერალური ვაჭრობის დღის წესრიგთან. საქართველოს შემთხვევაში, პირველ რიგში, ეს შეეხება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, რომელიც ძალაში 2017 წლის ბოლოს შევიდა. საქართველოს საბაჟო კავშირში გაწევრიანება მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას შეუძლებელს გახდის. თუმცა, საბაჟო კავშირის წევრობის გარეშეც, ევროკავშირთან [22]თავისუფალ ვაჭრობის თანამდევი მთელი რიგი შეზღუდვები არსებობს. ასე მაგალითად, მსგავსად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისა, ევროპის ეკონომიკური ზონით სარგებლობის ერთ-ერთი წინაპირობაა „საქონლის წარმომავლობასთან დაკავშირებული წესების“ დაცვა. ქართველმა ექსპორტიორებმა უნდა აჩვენონ, რომ პროდუქცია, რომლის ექსპორტსაც ისინი ახორციელებენ, საქართველოშია წარმოებული და ევროკავშირში იმპორტირების შესაბამის ტარიფებს ექვემდებარება. ერთი შეხედვით, ეს შეზღუდვად ჩანს, მაგრამ ამ რეგულაციამ შესაძლოა, საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი ზეგავლენაც მოახდინოს, მაგალითად, მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. „წარმოშობის წესების“ გამოყენებამ შესაძლოა, უცხოელი მწარმოებლები დააინტერესოს და საკუთარი წარმოების საქართველოში გადმოტანა გადააწყვეტინოს, რადგან, ამ შემთხვევაში, თავიანთი პროდუქციის ევროკავშირში იმპორტი საქართველოსთვის დაწესებული დაბალი ტარიფებით ან სულაც უტარიფოდ შეეძლებათ. ამ პროცესს ხელს საქართველოში არსებული იაფი მუშახელიც შეუწყობს. თუმცა, ევროპის ეკონომიკურ ზონასთან შედარებით საბაჟო კავშირის მთავარ სისუსტედ მაინც სამუშაო ძალის მობილობის არარსებობა რჩება, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნისთვის მნიშნელოვანი პრიორიტეტია. იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული კიდევ სხვა შეზღუდვებიც არსებობს, ჩნდება კითხვა, რამდენად არის საბაჟო კავშირში გაწევრიანება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ლოგიკური გაგრძელება.

[22] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.

3.2 ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი ათვისების თავისებურებანი

როცა ვსაუბრობთ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პეტენციალსა და მისი ათვისების თავისებურებებთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო 2014 წელს შეუერთდა ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს, რაშიც შედიან ევროკავშირთან ერთად საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ნაწილს. ითვლება, რომ ამგვარი სავაჭრო ურთიერთობები გააძლიერებს ქართულ ეკონომიკას და გარკვეულ დივიდენდებს მოიტანს სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხითაც. საერთაშორისო საკონსულტაციო და კვლევითმა ორგანიზაციამ ecorys-მა ევროკომისიის დაკვეთით ჩაატარა განხორციელებადობის ანალიზი, რომლის მიზანი იყო მხარდაჭერა აღმოეჩინა საქართველო-ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების პროცესისთვის. დოკუმენტის საბოლოო ვერსია 2012 წელს გამოქვეყნდა და შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ ეტაპზე ერთადერთი კვლევა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა მოდელირება და გაიზომა ის შესაძლო სიკეთეები და რისკები, რომლებიც შეიძლება მოუტანოს საქართველოსა და ევროკავშირს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ. კვლევის დასკვნაში პოზიტიურად არის შეფასებული სავაჭრო ხელშეკრულების შედეგები საქართველოსთვის. კერძოდ, ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 292 მილიონი ევროთი, ხელფასების გაიზრდება 3.6%-ით და სამომხმარებლო ფასები შემცირდება 0.6%-ით. კვლევის მიხედვით მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტი გაიზრდება დაახლოებით 9%-ით და იმპორტი 4.4%-ით. გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტი გაიზრდება 12%-ით, იმპორტი 7.5%-ით. DCFTA-ით ყველაზე მეტად მოგებული დარჩება ქიმიკატების, რეზინისა და პლასტმასის სექტორი, რომლის საერთო გამოშვება გაიზრდება 60%-ით. კიდევ ერთი მოგებული სექტორი ევროკავშრითან თავისუფალი ვაჭრობით იქნება

ბოსტნეულის, ხილის, თხილისა და სხვა კაკლის სექტორი, რომლის გამოშვება გაიზრდება 3.4%-ით.

თუმცა, როგორც სტატისტიკა ცხადყოფს, საქმე არც თუ ისე სასიკეთოდ არის, როგორც ეს ოპტიმისტებს მიაჩნდათ. მაგალითად, ევროკავშირში ექსპორტი 2014-2015 წლებში 2.8 – 3,3 %-ით გაიზარდა, 2016 წელს კი 11.3 პროცენტით შემცირდა. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში საშუალოდ 12.5 პროცენტით იზრდებოდა, მაშინ ბოლო სამი წლის მონაცემები ოპტიმიზმის საბაბს ნაკლებად უნდა იძლეოდეს. საგულისხმოა ისიც, რომ არც ecorys-ის მიერ გამოყოფილი ზემოთ აღნიშნული სექტორები იძლევა მნიშვნელოვან შედეგებს. მაგალითად, თუ ავიღებთ ქიმიკატების, რეზინისა და პლასტმასის სექტორს, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამ პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში 11.4 პროცენტით არის შემცირებული. ბოსტნეულის, ხილის, თხილისა და სხვა კაკლის სექტორების ექსპორტის ზრდა ევროკავშირში კი მხოლოდ 1.8%-ია, ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ. ბუნებრივია, სამ წლიანი მონაცემებით რთულია ვითარების სიღრმისეული ანალიზი, თუმცა როგორც ქვემოთ მოცემული მაჩვენებლებით ირკვევა, საქართველოს მთავრობას მოუწევს გაბედული ნაბიჯების გადადგმა საექსპორტო კალათის დივერსიფიკაციისა და უფრო რთული საექსპორტო პროდუქციის (sophistication of exports) წარმოების ხელშეწყობის მხრივ.

[23]ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე საქართველოში წარმოშობილ საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდა ყველა პროდუქტზე გარდა ნივრისა, რომელზეც ვრცელდება სპეციალური კვოტა. თუმცა, საქართველოდან ევროკავშირში შეტანილ პროდუქციის გარკვეულ სახეობებზე მოქმედებს ორი ტიპის რეგულაცია: ევროკავშირში "შესვლის ფასი" (entry price – ad valorem free) და "გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი" (anti-circumvention mechanism).

[23] შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი"2018 წ.

“ევროკავშირში შესვლის ფასი” არის სპეციფიკური საბაჟო გადასახადი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრული პროდუქტების სახეობებზე, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოებული პროდუქტის საინვოისო ფასი დაბალია ევროკავშირში წარმოების ფასზე. მაგალითად, “ევროკავშირში შესვლის ფასი” მოქმედებს შემდეგი დასახელების პროდუქტებზე.

- 8 სახეობის ყურძნის წვენი და ნექტარინი
- 4 სახეობის ბოსტნეული (პომიდორი, კიტრი, არტიშოკი და ყაბაყი)
- 7 სახეობის ციტრუსი (ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი)
- 9 სახეობის ხილი (კურკოვანი ხილი და სუფრის ყურძენი)

განვიხილოთ, პომიდვრის მაგალითი. თუ 100 კგ პომიდვრის ფასი ნაკლები იქნება 48.4 ევროზე, პირველი ივნისიდან 30 სექტემბამდე პერიოდში, ამ შემთხვევაში ყოველ 100 კილოგრამს დაემატება საბაჟო გადასახადი დაახლოებით 44 ევროს ოდენობით. ეს გადასახადი ვრცელდება 27 სახეობის პროდუქტზე. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქციაზე არ გავრცელდება “შესვლის ფასი”, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში ადგილზე წარმოება მეტწილად უფრო ძვირი ჯდება.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის 277 სატარიფო ხაზზე ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი, რომლის მთავარი მიზანია თავიდან აირიდოს საქართველოს ტერიტორიიდან უცხოური წარმოების პროდუქციის ევროკავშირში შეტანა ქართული ბრენდის ქვეშ. თუ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული რომელიმე პროდუქტი მიაღწევს ფიქსირებული ოდენობის 70%-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს ამის შესახებ. ფიქსირებულ ოდენობაზე გადაჭარბების შემთხვევაში საქართველო ვალდებულია დაუსაბუთოს ევროკავშირს გადაჭარბების მიზეზები. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს: უხვმოსავლიანობა, წარმოების მოცულობის სრწაფი ზრდა და ა.შ. დასაბუთების შემთხვევაში საქართველოს აქვს უფლება შეიტანოს გადაჭარბებული ოდენობის პროდუქცია. თუ შეტყობინება არ მოხდა, ევროკავშირი იტოვებს უფლებას შეაჩეროს პრეფერენციები ამ პროდუქციაზე 6 თვის განმავლობაში.

- საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი- 4 400 ტონა;
- ფრინველის ხორცი – 550 ტონა;
- რძის ნაწარმი – 1650 ტონა;
- კვერცხი ნაჭუჭით – 6 600 ტონა (132 მლნ. ცალი);
- კვერცხები და ალბუმინები – 330 ტონა;
- სოკო – 220 ტონა;
- მარცვლოვანები- 200 000 ტონა;
- ალაო და ხორბლის წებოვანა – 330 ტონა;
- სახამებლები – 550 ტონა;
- შაქარი – 8000 ტონა;
- ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები – 2 200 ტონა;
- შაქრიანი სიმინდი – 1500 ტონა;
- შაქარი დამუშავებული – 6 000 ტონა;
- გადამუშავებული მარცვლეული – 330 ტონა;
- სიგარეტები – 500 ტონა;



[24]

დიაგრამა 3.2.1

[24] https://www.geostat.ge

კიდევ ერთი რეგულაცია, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ქართველი მწარმოებლებისთვის, ეხება საქონლის წარმოშობის წესებს. საქონლის წარმოშობის სერთიფიკატს (EUR1) გასცემს საქართველოს შემოსავლების სამსახური. ეს რეგულაცია მოიცავს საქონლის დამუშავების აუცილებელ მინიმალურ სტანდარტებს, ასევე საქონლის წარმოებისთვის გამოყენებულ ზღვრულ ოდენობას, რომელიც მესამე ქვეყნიდან არის იმპორტირებული. თუმცა მოქმედებს კუმულაციის პრინციპი, საქართველოს, ევროკავშირს და თურქეთს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ საქონელს შეიძლება მიენიჭოს საქართველოში წარმოშობის სერთიფიკატი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ საქონლის წარმოებაში გამოყენებულია თურქეთში ნაწარმოები არასასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. "საქონლის წარმოშობის წესები" შეიძლება იქცეს ერთგვარ გამოწვევად მსხვილი წარმოების გახსნისთვის. მაგალითად, თუ მსხვილი მანქანების მწარმოებელი კონცერნი გადაწყვიტავს საქართველოში ქარხნის გახსნას ევროკავშირში ექსპორტირების მიზნით, მისთვის "საქონლის წარმოშობის წესები" იქცევა მნიშვნელოვან დაბრკოლებად. ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმის დანართში მოცემულია კრიტერიუმები პროდუქტების "საკმარისად გადამუშავების" შესახებ, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით მსუბუქი ავტომობილების საწარმოო მასალების (inputs) ღირებულება, რომელიც საქართველოში არ არის წარმოშობილი, არ უნდა აღემატებოდეს ავტომანქანის სრული ღირებულების 40%-ს. დღესდღეობით, მულტინაციონალურ კორპორაციებს საკუთარი წარმოებები გაფანტული აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, შესაძლოა ერთი რომელიმე საავტომობილო კონცერნი, მანქანის საჭეს ამზადებდეს იაპონიაში, ფარებს ტაივანში, ხალიჩებს კერავდეს ბანგლადეშში და ავტომობილებს აწყობდეს ჩინეთში. ამიტომაც, საქართველოში ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსგავსი მსხვილი კონცერნები შემოვიდნენ, იმის იმედით რომ ევროკავშირის ბაზარი მათთვის ღია იქნება.

გარდა ამისა, საქართველოს, ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოუწევს რიგი სტანდარტების დაკმაყოფილება, რათა უზრუნველყოს საქონლის თავისუფალი გადაადგილება. ეს ვალდებულებები მოიცავს: ტექნიკურ რეგლამენტებს, მეტროლოგიის, ფიტოსანიტარულ, ბაზრის ზედამხედველობის, ასევე აკრედიტაციისა

და შესაბამისობის შეფასების სისტემების დანერგვის მხრივ. ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შეეხოს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს, სახელმწიფო შესყიდვებს, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ბარიერებს და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობისთვის, ასევე ქართველი მწარმოებლებისთვის, ეს არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, გამომდინარე იქედან, რომ მათ მოუწევთ მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთება ამ სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის.

საქართველო ევროკავშირის ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მზარდი ხასიათი აქვს. თუ ბოლო ათწლეულში ვაჭრობის ტენდენციებს დავაკვირდებით, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი იზრდებოდა. თუ არ ჩავთვლით, 2010, 2012 და 2016 წლებს. ამ სამ წელიწადში ექსპორტის კლება შეიძლება აიხსნას პოლიტიკური ფაქტორებით, რომელიც უკავშირდებოდა 2008 წლის ომს, 2012 წლის ტრანსფორმაციულ საარჩევნო ციკლს და 2014-2015 წლებში არსებულ რეგიონულ ეკონომიკურ კრიზისს, თუმცა, ბუნებრივია არსებობდა სხვა ეკონომიკური ფაქტორებიც. ევროკავშირში ექსპორტმა მაქსიმალურ ოდენობას 2018 წელს მიაღწია და შეადგინა 730 მილიონი დოლარი.

ცხრილი 3.2.1 მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტი - სულ	**1,677,306.9**	**2,186,421.2**	**2,376,635.4**	**2,910,314.5**	**2,861,045.2**
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	309,189.5	424,448.1	352,950.4	607,204.0	624,201.4
სუამ-ის (GUAM) ქვეყნები	374,325.9	577,233.6	805,398.3	917,066.8	689,105.1

	2015	2016	2017	2018	2019
ექსპორტი - სულ	**2,204,685.3**	**2,112,912.8**	**2,735,486.5**	**3,354,490.1**	**1,466,684.9**
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	645,214.1	565,521.8	655,116.1	730,274.8	**360,890.5**
სუამ-ის (GUAM) ქვეყნები	307,361.3	227,738.7	399,930.7	680,700.4	**280,932.0**

[25]გასათვალისწინებელია , რომ აღნიშნულ მონაცემების პერიოდში 2007-2012 წლებში

[25] https://www.geostat.ge

ევროკავშირის 27 ქვეყანა ფიქსირდებოდა, 2013 წლიდან - ევროკავშირის 28 ქვეყანა. 2010-2015 წწ - OECD –ის 34 ქვეყანა , 2016-2017 წწ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 35 ქვეყანა , ხოლო 2018 წლიდან - 36 წევრი ქვეყანა.



დიაგრამა 3.2.2 მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

[26]სტატისტიკს ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით , 2019 წლის იანვარ - მაისში საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 360.9 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი . სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 985.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 8.2 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მაისში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 27.2 პროცენტით განისაზღვრა.

[26] https://www.geostat.ge

2019 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით მთლიან ექსპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი 24.6 %-ს შეადგენს , დსთ-ის ქვეყნების - 51.1%-ს ხოლო დანარჩენი ქვეყნების - 24.3 %-ს



დიაგრამა 3.2.3 მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

[27]რაც შეეხება ევროკავშირში ექსპორტის წილს საერთო ექსპორტში, ეს მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში 15-დან - 29 პროცენტამდე მერყეობდა. ყველაზე დაბალ ნიშნულს კი 2012 წელს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო შეურთდა ღრმა და ყოვლისმომცველ სივრცეს, ამ მაჩვენებლმა 27 და 29 პროცენტს მიაღწია 2015-2016 წლებში.

[27] https://www.geostat.ge

	2010	2011	2012	2013	2014
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	309,189.5	424,448.1	352,950.4	607,204.0	624,201.4
სულ	**1,677,306.9**	**2,186,421.2**	**2,376,635.4**	**2,910,314.5**	**2,861,045.2**
მთლიან ექსპორტში ევროკავშირში ექსპორტი %	18%	19%	15%	21%	22%

[28]ყველაზე მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა 2015 წელს ხოლო როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ვიგებთ , 2015 წლიდან 2018 წლამდე მაჩვენებელი კლებას განიცდის. თუმცა 2019 წლის I კვარტლის მონაცემების მიხედვით, მთლიან ექსპორტში ევროკავშირში ექსპორტის წილი გაიზარდა ბოლო წლების მონაცემებთან შედარებით.

	2015	2016	2017	2018	2019
ევროკავ შირის ქვეყნები (EU)	645,214.1	565,521.8	655,116.1	730,274.8	360,890.5
სულ	**2,204,685.3**	**2,112,912.8**	**2,735,486.5**	**3,354,490.1**	**1,466,684.9**
მთლიან ექსპორტში ევროკავშირში ექსპორტი %	29%	27%	24%	22%	25%

ცხრილი 3.2.2 მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

[28] https://www.geostat.ge



დიაგრამა 3.2.4 მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

[29]2018 წელს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან გაიზარდა 17,7%-ით, 3 359.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26.9% დაიკავა. მათ შორის:

	2015	2016	2017	2018	2019
ექსპორტი	645,214.1	565,521.8	655,116.1	730,274.8	360,890.5
იმპორტი	2,080,879.4	2,214,826.6	2,200,019.4	2,505,293.8	885,825.2
ბრუნვა	2,726,093.5	2,780,348.4	2,855,135.5	3,235,568.6	1,246,715.7

ცხრილი 3.2.3 ექსპორტის , იმპორტის და ბრუნვის მაჩვენებლები 2012-2018 წწ ; მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

[29] https://www.geostat.ge

- ექსპორტი - 730.3 მლნ. აშშ დოლარი, 11.5 %-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 21.7%. მათ შორის წმინდა ექსპორტი 637 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 87.3%. რეექსპორტი 93.3 მლნ აშშ დოლარით და 12.7%;
- იმპორტი 2 629.1 მლნ. აშშ დოლარი, 19.5%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 28.8%.

საქართველოს ექსპორტი/იმპორტი ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით



დიაგრამა 3.2.5 მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საინტერესოა ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქციის სტრუქტურა ორი ნიშნით. პირველი, ეს არის საექსპორტო კალათის დივერსიფიკაციის დონე და მეორე, – ექსპორტირებული პროდუქციის სირთულე. ეს ორივე ინდიკატორი ბუნებრივია ინტერესს იძენს დინამიკურ კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საექსპორტო კალათის

დივერსიფიკაცია. ISET-ის კვლევის მიხედვით, ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქციის 80%-ი კონცენტრირებულია ერთი მხრივ მინერალებზე და ლითონებზე, მეორე მხრივ, კი საკვებ პროდუქტებზე (ღვინო, სასმელები, ბოსტნეული და ა.შ.) როგორც ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქცია მეტწილად კონცენტირებულია რამდენიმე ათეულ პროდუქტზე. კერძოდ, 11 ძითადი პროდუქტი იკავებს მთლიანი ექსპორტის 80 პროცენტს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს ტენდენცია საკმაოდ მდგრადია და არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა DCFTA-ს ნაწილი. ამასვე ადასტურებს მსოფლიო ბანკის კვლევა, რომლის მიხედვით, "ძველი" პროდუქტების გატანის მაჩვენებელი ევროკავშირის ბაზარზე საკმაოდ მაღალია, თუმცა, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს "ახალი" პროდუქტების გატანას საქართველოდან ევროკავშირში. ექსპორტის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია იქედან გამომდნარე, რომ ქართული ექსპორტიორები ამ ეტაპზე მეტწილად სპეციალიზებულები არიან ისეთი პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც ქმნიან დაბალ დამატებით ღირებულებას და ამგვარი პროდუქტების წარმოება ქმნის არასტაბილურ და დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს.



დიაგრამა 3.2.6 ცხრილი აღებულია მსოფლიო ბანკის კვლევიდან: GEORGIA: TRADE COMPETITIVENESS DIAGNOSTIC

საექსპორტო პროდუქტების სირთულის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო მეტწილად "სპეციალიზდება" სიღარიბეზე. ქვემოთ ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოდან ძირითადად გადის ნედლეული, ან პირველადი დამუშავების საქონელი. 11 უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტიდან სამი ქართული წარმოშობის არ არის, ანუ რეექსპორტია. ამასთან ერთად, საექსპორტო კალათაში ქართული წარმოშობის პროდუქტებს საკმაოდ დაბალი სირთულე აქვს. თუ მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგების ექსტრაპოლაციას მოვახდენთ ევროკავშირში გატანილ პროდუქციაზე, დავინახავთ რომ ე.წ. Expy-ის ინდექსი დაბალია, საქართველოს მსგავსი ეკონომიკების, კერძოდ უკრაინასთან და მოლდოვასთან შედარებით, სადაც დივერსიფიკაციისა და სირთულის მაჩვენებლები მაღალია.

საექსპორტო კალათიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტად გაიზარდა თხილის ექსპორტი ევროკავშირში. გადაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი არ ქმნის მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას ქვეყნის ეკონომიკისათვის, ნაკლებად იქმნება სამუშაო ადგილები და რომლებიც იქმნება არის დაბალანაზღაურებადი და ნაკლებად სტაბილური. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო მცირე მიწიანი ქვეყანაა და ამასთან ერთად მიწები მეტწილად დანაწევრებულია, მცირე ფერმერებს უწევს დიდი ტრანზაქციული ხარჯების გაწევა პატარა მეურნეობების სამართავად, თუმცა შემოსავლები დაბალია. ამასთან ერთად, როგორც ნებისმიერ სხვა სოფლის მეურნეობის ნედლ პროდუქტს, თხილსაც გააჩნია კლებადი უკუგება კაპიტალზე, რადგან პროდუქტიული მიწის რესურსი შეზღუდულია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა მეტწილად დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე.

[30]2018 წელს ევროკავშირში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 77.9% შეადგინა. ეს პოზიციებია:

[30]http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 325 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 44.5%);
- აზოტოვანი სასუქები - 45.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 6.2%);
- სპირტიანი სასმელები - 42.3 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 58%) (წილი - 5.8%);
- თხილი - 36.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 5%);
- საბურავები - 30.9 მლნ. აშშ დოლარი (სულ რეექსპორტი) (წილი - 4.2%);
- ნავთობპროდუქტები - 29.5 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 33%) (წილი - 4%)
- ღვინო - 18.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.5%);
- მინერალური წყლები - 16.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.2%);
- ფეროშენადნობები - 14.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2%);•
- მსუბუქი ავტომობილები - 10.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 1.5%).

საექსპორტო პროდუქციის წილი 2018 წ მონაცემები



დიაგრამა 3.2.7 საექსპორტო პროდუქციის წილი; *მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით*

2018 წელს ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 6%-ით (7.9 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 148 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 13%-ით (67.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 582.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის იანვარ-მაისის თვის მდგომარეობით კი უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში ასე გამოიყურება:



დიაგრამა 3.2.8

2018 წლისგან განსხვავებით, პროცენტულობით არ ლიდერობს სპილენძის მადნების წილი, მისი მონაცემი შემცირებულია 44.5 %დან 17.8 % მდე

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების წინ, როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთის შემთხვევაშიც, ექსპერტები და მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზრდებოდა , იქედან გამომდინე , რომ საქართველოსთვის

გაიხსნებოდა დიდი ბაზრები ევროკავშირისა და ჩინეთის სახით. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ამბობდა, რომ საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა ევროკავშირის 500 მილიონიანი ბაზარი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით და ეს ავტომატურად გამოიწვევდა მსხვილი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. მართლაც, 2013-2017 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდებოდა და ეს ქვემოთ დიაგრამაზე ნათლად ჩანს. მეტიც, ამ ოთხწლიან პერიოდში ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა, სხვა პერიოდებთან შედარებით.



დიაგრამა 3.2.9 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2010-2018 წწ; მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1 232.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 34.9 პროცენტით ნაკლებია. აღინიშნა, რომ 2018 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება არ უკავშირდება რაიმე უარყოფით ფუნდამენტურ ფაქტორს. [31]2018 წელს პირდაპირი

[31] https://imedinews.ge

უცხოური ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა დამამუშაველი მრეწველობის, სამთომოპოვებითი მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების და სოფლის მეურნეობის სექტორებში. დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 44.3 პროცენტით და 142.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში ინვესტიციების მოცულობა 66.7 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით 28.8 პროცენტით გაიზარდა. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის და სოფლის მეურნეობის სექტორებში შესაბამისად ინვესტიციების 83.3 და 28.2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 13.2 და 15.9 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2018 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 277.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.5 პროცენტია. მეორე ადგილზეა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი 209.9 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით (17.0 პროცენტი), მესამეზე ენერგეტიკის სექტორი 157.2 მლნ. აშშ დოლარით (12.8 პროცენტი), ხოლო მეოთხე ადგილზე დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 142.3 მლნ. აშშ. დოლარით (11.5 პროცენტი).

ქვეყნების მიხედვით, 2018 წელს ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან განხორციელდა (19.5 პროცენტი - 240.0 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ არის გაერთიანებული სამეფო (16.5 პროცენტი - 203.7 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (13.6 პროცენტი - 167.9 მლნ აშშ დოლარი).

მნიშვნელოვნად გაიზარდა რეინვესტირების წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში და 2018 წელს 45.3 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემს 10.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა ნათლად მიანიშნებს პირდაპირი უცხოური ინვესტორების დადებით განწყობებზე ქვეყნის ბიზნეს გარემოს მიმართ. ისინი მიღებულ მოგებას ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და ბიზნეს საქმიანობის გასაფართოებლად მიმართავენ, რაც კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას

საქსტატის ინფორმაციით , წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის I კვარტალში 281,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა , რაც 2018 წლის I კვარტლის წინასწარ მონაცემებზე 6.3 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორისაა მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2017-2019 წლებში



დიაგრამა 3.2.10

საქსტატის განცხადებით, ინვესტიციებისთვის ტოპ 5 სექტორი იყო:

1. კომუნალური,
2. პერსონალური და სოციალური მომსახურება;
3. საფინანსო;

4. ტრანსპორტი;

5. სასტუმროები და რესტორნები და დამამუშავებელი მრეწველობა

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2019 წლის პირველ კვარტალში კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორში განხორციელდა და 139.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 42.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – ტრანსპორტის სექტორი 28.6 მლნ აშშ დოლარით. ყველაზე მეტი ინვესტიცია 133.2 მლნ აშშ დოლარი ირლანდიიდან შემოვიდა, შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო- 42.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო მესამე ადგილს 22.5 მლნ აშშ დოლარით აშშ იკავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობამ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით. თუმცა, ჩემი აზრით, მთავრობას მოუწევს ბევრად უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა ექსპორტის ხელშეწყობისათვის. რეკომენდაციის სახით აუცილებელია:

1. ამ მხრივ უფრო ეფექტურად იყოს გამოყენებული საპარტნიორო ფონდის შესაძლებლობები და რესურსები, ხოლო მისი ფინანსები მიემართოს ექსპორტის წახალისებაზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით, ექსპორტის სუბსიდირება იკრძალება, თუმცა, არსებობს ამ რეგულაციიდან გვერდის ავლის შესაძლებლობა. მაგალითად, საქართველოს მთავრობას შეუძლია დეპრესიულ რეგიონებში წარმოების ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსება, რომლის საშუალებითაც მოხდება ისეთი ბიზნესების წახალისება, რომლებიც ექსპორტზეა ორიენტირებულია.

2. რაც შეეხება საექსპორტო პოტენციალს, ათვისების თავისებურებებს , ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის სრულად გამოყენებისათვის , მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ გამოიყენოს pick the winner სტრატეგია, რაც გულისხმობს იმას, რომ მთავრობამ უნდა ამოარჩიოს წარმატებული მწარმოებლები და მათი ჩართულობით დაგეგმოს ექსპორტის დივერსიფიცირების გზები,

მთავრობამ სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათების პარალელურად შესაძლებელია გამოიყენოს ექსპორტის დისციპლინის ინსტრუმენტი.

3. მსხვილ კომპანიებს აქვთ დიდი ბიზნეს პოტენციალი, შესაძლებლობა იმუშაონ მასშტაბზე და გამოიყენონ მენეჯერული თუ სტანდარტების ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს მასშტაბური ეკონომიკური პროექტების განხორციელებას ექსპორტის დივერსიფიცირების კუთხით.

4. მნიშვნელოვანი იქნება, თუ საქართველო შეიმუშავებს საინვესტიციო პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ინვესტიციების , მათ შორის , პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიკაცია და პრეფერენციების მინიჭება ინვესტიციებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ექსპორტის დივერსიფიცირებას.

5. მიზანშეწონილი იქნება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე შეიქმნას შესაბამისი ეკონომიკური სამსახურები, რომლებიც მოახდენენ ინფორმაციის აკუმულირებას, ანალიზს და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად დაგეგმავენ სახელმწიფო ინვესტიციებს და ექსპორტის ხელშემწყობ პროექტებს. მცირე საინვესტიციო რეგიონული ფონდების გამოყენება მკაცრი საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებების პირობებში, შესაძლოა წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს საექსპორტო პროდუქციის წარმოებისთვის.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრაციული პროცესები მრავალფეროვანი და რთულია.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესები იზრდება, იქმნება რეგიონალური კავშირები, მყარდება ინტეგრაციული ურთიერთობები, განიხილება რეგიონალური ვალუტების (აზიური, ჩრდილოამერიკული, მუსულმანური, ლათინოამერიკული; ევროპული უკვე არსებობს) შექმნის საკითხი. აღნიშნული პროცესის კიდევ უფრო გამყარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გლობალური ფინანსური კრიზისი.

დღეს გლობალიზაცია, რეალურად, აღნიშნავს ამერიკანიზაციას. თუმცა, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა შეახსენა ყველას, რომ ერთ სახელმწიფოზე დაიმედება არაგონივრულია.

გლობალიზაციის პროცესი მოიცავს კაპიტალის, ვაჭრობის, ინფორმაციის, ტექნოლოგიების სწრაფ ტრანსნაციონალიზაციას. მსოფლიო სულ უფრო პატარა ხდება. მიუხედავად ამისა, ადამიანური რესურსები და სოციალური ზნე-ჩვეულებები უფრო ნაკლებად ხშირად არის ტრანსნაციონალური ფენომენი. გლობალიზაცია, რომელშიც დომინირებს დასავლური კორპორატიული იდენტურობა, ხშირად აღიქმება ადგილობრივი წესებისა და საზოგადოებებისავის საფრთხედ. რეგიონალიზმი და ინტეგრაცია შეიძლება ხშირად აღქმული იყოს და გახდეს „ლოკალური“ იდენტურობისა და ფასეულობების დაცვისა და გამდიდრების მექანიზმი. მაგალითად, ევროკავშირის შიგნით, დავა წევრ სახელმწიფოებს შორის წამოიჭრება საერთო სოციალურ უზრუნველყოფაზე, ასევე კორპორატიული ინტერესების გამომუშავებაზე კავშირის შიგნით ან მის გარეთ „იაფი ფასების“ ქვეყნებიდან საქონლისა და მუშახელის გადაადგილებაზე.

კონფლიქტების წარმოქმნის პოტენციალი სულაც არ გამქრალა მაღალ დონეზე ურთიერთდამოკიდებული გლობალური სისტემის შექმნით, მაგრამ რეგიონალიზმი და

ინტეგრაცია ხელს უწყობს სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს ჩამოყალიბება-განვითარებას ლოკალურ დონეზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს ტრადიციულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მშვიდობას და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის უმთავრესი ნიშან-თვისება, მაგალითისათვის, ერთის მხრივ უნდა იყოს ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების განმუხტვა, ხოლო მეორეს მხრივ კონფლიქტების სტაბილიზაცია მთლიანად სისტემაში.

ამ პერსპექტივით, რეგიონალიზმი და ინტეგრაცია არ წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯერების იარაღს, ლოკალური უსაფრთხოების შექმნის საშუალებას ანდა ლოკალური იდენტურობისა და წესების დაცვის გზას გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ, არამედ ასევე ცივი ომის შემდგომ პერიოდში ხდება მსოფლიო წესრიგის სტაბილურობის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

რაც შეეხება საქართველოს, ისიც ზემოაღნიშნულ მოცემულობას უნდა დაეთანხმოს და ინდივიდუალურად განვითარდეს მეზობელი სახელმწიფოების გამოცდილების, შეცდომების გათვალისწინებითა და მხედველობაში მიღებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“2018 წ.
2. Мировая экономика. Учебник / М., Изд-во БЕК, 2000.
3. Семенов К.А. Международная экономическая интеграция. М., Юристъ-Гардарика, 2001
4. Фомичев В.И. Международная торговля:Учебник; 2-е изд.,перераб. и доп.-М.: ИНФРА-М, 2000.
5. Харламова В.Н. Международная экономическая интеграция. Учебное пособие. М., Анкил, 2002
6. J.S. Nye (ed.), International Regionalism: Readings, (Boston: Little, Brown, 1968).
7. P. Knox & J. Agnew, The Geography of the World Economy (London: Edward Arnold, 1994).
8. W. Wallace (ed.), The Dynamics of European Integration (London: Pinter, 1990).
9. Н.Х. Кумскова. Экономическая теория. Учебное пособие для экономических специальностей /Отв. ред. акад. МАН ВШ и МЭАЭ, проф. Н.Х. Кумскова; Кыргызско-Российский Славянский университет. – Бишкек, 1999г. – 716 с.. 1999
10. GUUAM - successor to the CIS or competitor, Central Asia/Caucasus/Analyst, Friday/August 6 1999;
11. Fahrad Mammadov, GUUAM summit scheduled long ago took place, Turkistan Newsletter, Friday, 8 June 2001

ინტერნეტრესურსები:

1. https://www.ipress.ge/new/71865-saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesakheb-shetankhmeba-gaformda
2. https://www.geostat.ge
3. http://mfa.gov.ge
4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959
5. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf
6. https://eeas.europa.eu/delegations/georgia/59093/
7. გამოყენებულია სუუამ-ის ინტერნეტ-გვერდის მასალები http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.
8. გამოყენებულია სუუამ-ის ინტერნეტ-გვერდის მასალები: www.guuam.org;